

წა ლოვანე ზამასკელი

საბჭოთაობისათვის ზერუსალებისა ჟრისტეს იმართისა ჩუენისა აღსაღმომეღისა და ამაღლებისათვის პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჟუარისა*

აოდენნი იმართის-მოქალაქე ხართ
იმრჩობლთა ქალაქთაგანნი ამიერ
დიდით და სახელგანთქუმულით
ზერუსალებით, ცით ქუეყანისაჲთ
და კუალად ყოფადითა მითცა ზეცისა
ზერუსალებით, რომელსა-იგი ვეძიებ, რაჲთა
ოფლისათანა ვიყოფვოდით, ვხედვოდით და
ვიხილოვებოდით მას შინა, რომლისა-იგი
ველოვან და დამბადებელ იმერთი არს. ლი-
ხაროდენ ოფლისა მიერ, გიხაროდენ და კუალად
ვიტყუ: გიხაროდენ!

ქაოდენნი ირემთა წყურილსა და კრთომასა
მსგავსებითა **სიონდ** მთად იმართისა მოინიენით
და ადგიდ თხემისა შემოკრებითა უკუდავებისა
ნაკადულთა დაუნწყუედელისა გუერდისაგან
აღმომესებელ იქმნენით, წყალი ცხორებისაჲ
მხიარულებით აღმოივსეთ წყაროთაგან ცხო-
რებისათა!

ქაოდენნი წყაროჲსა მიმართ დაუნწყუე-
დელისა ცხორებისა განმაახლებელისა და
ცხოველსმყოფელისა ჟრისტეს საფლავისა გუ-
ლსმოდგინედ შემოჰკერბით სხუა დაბნებთაგან
და მრავალ დაბნებთა ადგილთა, ან იხარებდით
მდგომარენი ეზოთა **ზერუსალებისათა**!

ქაოდენთა ვითარცა განსაცხრომელთა
ზღვსათა ყოვლად მსოფლიოჲთა ამით მრავალ
თხზულებითა, რაჲთა სახისმეტყუელებით
ვიტყოდით, ვითარცა ბგერებითა სურვილისაჲთა
მქანარებით, ** სიმაღლედ შესრულებულთა
ყოველივე, რაჲცა რაჲ იყო ქვმოვნებაჲ, რე-
ცა ზღუდედ განმაგრებულად კუეთებით
დააკუეთეთ და გზა-უყავთ ნაკადულთა თქუ-
ენტა, გარნა არა თუ პირუტყუებით, ვითარ-
იგი არს წესი უაზნობისაჲ, არცა ნაწილთაგან
გრძნობისათა დაკლებულად, არამედ ვითარცა
გონიერებით და სიტყვერებით პატივის-

მცემელნი საღმრთოჲსა ხატებისანი ტკბილისა
ამის ზღვსა მიმართ შემოსდიოდეთ, რამეთუ
ზედამან ჴელესიათამან შეგიწყნარნა თქუენ.

2. ჟ ერნო, ტომნო და ენანო, ყოველო
ნათესავო კაცთაო და ყოველო ჰასაკო, მეფენო
და სამეუფონო, მთავარნო და სამთავრონო,
ჭაბუკნო და ქალწულნო, მოხუცებულნო და
განჭაბუკებულნო სულითა, ნაშობნო ქუეყ-
ანისანო და ძენო კაცთანო, ქალაქნო და სო-
ფელნო, მთანო და ჴევნებნო, რომელნი-ეგე
ხედვათა შინა მაღალ ხართ გონებითა და
სიმშვედესა ჴესუჲსსა მიმსგავსებულ სიმდა-
ბლითა, ამათ თანა სამღდელოო დასო და
უმეუღლონო, ცხორებითა მაღალთა შინაჲსა
მის უნივთოებისა მიმსგავსებულნო, ისმინეთ,
რასა-ესე მაღლითა ქადაგებითა თქუენდა მი-
მართ იტყვს სული ჴმიდაჲ.

შოვედით და ისმინეთ, რასა-ესე ჴმოზს
თქუენდა მიმართ ჴესუ ზეშთა ღმერთთაჲ:
«რომელსა სწყურის, მოვედინ ხემდა და სუ-
ემდინ»(ინ.7,37), რამეთუ, რომელნი ამის წყ-
ლისაგან სუმიდენ მუცლისაგან მათისა, ცხად
არს, ვითარმედ განწმედილისა, და გულისაგან
სულისამიერთა სასუმელთა შემწყნარებელისა
«დიოდთან მდინარენი წყლისა ცხოველისა-
ნი»(იქვე,38).

35 ჴსმინეთ სიტყუაჲ, რომელი სულმან მომცა
მე. ქამეთუ აღვადებ თქუენდა მიმართ პირსა და
აღმოვიტყვ სიტყუათა ცხორებისათა, რომლითა
აღმოვთქუა სიტყუაჲ კეთილი. საფსალმუნე
იყვნედ ბაგენი ჩემნი ჴეგარდამო ჴმაცემითა
40 სულისაჲთა. ჴა მოვედით, ისმინეთ და გითხრა
თქუენ მიზეზი ამის კრებისა და თქუენისა
აქა შემოკრებისაჲ და ძალიცა საჩინოჲსა ამის
დღესასწაულისაჲ, რაჲთა იხილოთ შუებისა ამის
სინმიდედ და ღირსებით საკრველებაჲ.

* ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები), გამოსაცემად მოამზადა ნარგიზა გოგუაძემ, თბ., 1986.
ლვ. 197-220. შთარგმნელი წა ჴფრემ შვირე.

** „შეისწავე, ვითარმედ სახისმეტყუელებით მდინარისა სიმქანარედ უნოდს ერისა სიმრავლესა, რომელნი ყოვლით
კერძო შესდიან ტკბილსა მას ზღუასა ჴერუსალჴმისა დღესასწაულსა სატფურებისა და ჴუართაჴრობისასა.
ქამეთუ ესე საკითხავი თვთ ჴერუსალჴმს შინა უთქუამს მას დღესა შინა დიდსა ოქრონეკტარ წოდებულსა წმიდისა
იმართისმშობელისა მიერ ჴოვანეს ჴამასკელსა.“

სატფურება სატფურებათა არს აწინდელი ესე დღესასწაული, სატფურებათა სატფურება და კუალადცა ვიტყვ სურვილითა სამებისადათ, ვითარმედ სატფურება არს სატფურებათა, რამეთუ ვითარ-იგი ითქუმის ჴებაჲ ქებათაჲ და 5 ჩმიდაჲ წმიდათაჲ და ჰაბათი შაბათთაჲ, ეგრეთვე აწ ითქუმოდენ სატფურებაჲ სატფურებათაჲ.

3. სიტყუად განახლებების და განჭაბუენების, კიცუებრ კრთის და მსრბოლებრ რბის და არავე უპატივო-ჰყოფს დაწყნარებულებასა სულისასა. 10 წრა თუ კუდებითა ვითარცა საწერტელითა იგუმირების, ვითარ-იგი ლომთათვს იტყვ-ან, არამედ მძნობელობით სინმიდით განმზ-იარულდების და უმეტყუელესობს უფროჲს მერცხლისა აღმსობილისასა, რამეთუ შინაგან 15 ალი სულისაჲ ტრფიალებით მგზნებარე და შემწუველობს. წა რაჟამს ვითარცა ნეფზვითა შეჰყინდეს შიშისა მიერ სამთავროსა გონებისასა, მჭურვალებითა თვსითა განჰლევს შიშსა მას და სიმძაფრითა თვსისა მგზებარებისადათა 20 აღმოფოფინებით ზეშთა გარდამავალ-ჰყოფს მიმსგავსებითა ნაკადულთა სახისადათ, ხოლო ლამპართა ამათ მოტყინარებაჲ ორთა მიზეზთაგან არს: დღესასწაულისა ბრწყინვ- 25 ალებისა და ჴუარშემოსილთა ერთა საწინო-ებისაგან, ვინაჲცა მე იმრთივ თხზულისა ამის მწყობრისა შორის მდგომარე ვარ, ვითარცა წერტილი გარემოჲს მისსა მომრგულეულთა შორის. წა ჩემ გამო მოვლელეულთა მიერ თავისა მიმართ თვსისა მივიზიდვი მრწმუნებელობით 30 და მოხარულობით.

წა შევანყოზ რეცა სადღესასწაულოსა გალობასა და ვჰმობ: «უგალობდით გალობითა ახლითა წამბადებელსა და განმაახლებელსა ყოვლისა აგებულებისასა ცაჲ და ეთერი, ჰაერი 35 და ქუეყანაჲ და ზღუაჲ. შოუთხრობდით დიდებასა იმრთისასა მხოლოდ დაკლებულნი ჴმისა ოდენ განტევეებისაგან მნათობნი ეგე მრჩობლნი, რომელნი წინა ჰმატთ სიდიდითა და სიკეთითა განმასაზღვრებლნი დღისა და ღამისა წესთანი, 40 შუენიერი ეგე და ოქრომცხინვარე ჰაეროვანი შზე, და მრავალსახე ეგე და ვეცხლის სახე შთოვარე, რომელი თავსა თვსსა შეჰზავებ ჰაერსა თანა და თანა სახის-ჰმცვალებლობ სა-ხეთა მისთა თანა, და თქუენ ხუთრიცხუედნო 45 სხუანო, ამათ თანად ერთბანაკნო მაცთუ-რთაგანნო, რომელნი-ეგე უცთომელთა მათ წინაუკმომავალობით ერთ ბანაკ ხართ, და კუალად რომელნი-ეგე უცთომელითა და შე-

უნყობელითა სლვითა ეტლსა თანა მყოფ ხართ. წმათ ყოველთა უპირატეს შენ, ჩა-თელო, რომლისაგან-ესე მიმღებელ არიან წყალნი ეგე ზენა კერძო წათანი, რომელნი 5 ზურგთა მათთა ზედა მყოფობითა შეზავებით შეაცურევთ ცეცხლისა მიერსა შემწუველობასა ეთერისასა, ღრუბელნი და სეტყუაჲ, ყინელნი და წვმანი, ცუარნი და თრთვლი, ქარნი და ნეფზუვაჲ წინააღმდგომსა თანა სიცხესა და 10 ჴურვებასა, ნათესავნი ნერგთა და ცხოველთანი მქონებელნი საგრძნობელთა მიერისა შენ-ევნისანი ქუეყანისანი და ზღვს კიდისანი, ძენი კაცთანი, გონებაჲ მხედველი იმრთისაჲ და თანაშეთხზული შუეფისაჲ, 15 **სწრელი** სულისაჲ, მონანი ოფლისანი მღდელთა თანა, სულნი მართალთანი და სულნი განსრულეულთანი უნივთოთა თანა მჴედრობათა ზეცისათა – ამათ ყოველთა ზოგად ერთი მსოფლიოჲ მწყობრი შეკრიბეთ, აქებდით და აკურხევდით, ტკბილსა 20 რასმე აღმოჩურჩნასა საგალობელ-ჰყოფდით მწყობრისა მის მგალობელთმთავრად ქონებითა აღდგომისა ანგელოზისადათ».

4. სატფურება სატფურებათა არს კრებაჲ ესე, განახლებაჲ განახლებათაჲ, არამედ რაჲ არს 25 ახალი იგი და ვითარ განახლება განახლებათა არს აწინდელი ესე სატფურებაჲ, ვიტყოდი და ისმენდით, რამეთუ ახალ არს ყოველი აწლა შემტკიცებული და ახლად აღშენებული. ღოლო სატფურება არს განახლებული ცხორებაჲ და 30 სადღესასწაულოდ ღირსებით მკვდრობაჲ. წა მონამე არს **წავით** იმრთისა მამაჲ და იმრთის ქადაგი, წინა მომთხრობელი ჴემმარიტებისაჲ. «ღული წმიდაჲ, – რაჲ თქუა, – დაჰბადე ჩემ თანა, იმერთო, და სული წრფელი განმიახლე 35 შინაგანთა ჩემთა!» (ფს.50,10). ჴამეთუ განახ-ლდების კაცი იმრთისაჲ დლითი დღე წარმატ-ებითა მარადის განწმედისადათ და უახლეს იქ-მნების მონიჭებითა და მიმადლებითა სულისა ჩმიდისადათ, ჴომლისა მოქმედებათა მიერ გა- 40 ნწმდების უბრწყინვალესად.

წხალ უკუე იყო საფლაჴი იგი, რომელი **სოსებს** გამოეკუეთა კლდისაგან. ღოლო სან-ახლება იყო მას შინა იმრთისა ჩემისაჲ ვიდრე 45 სამ დღემდე ჴორციელი მკვდრობაჲ. წა კუალად ახალ იყო ცოდვისა მიერ განხრწნილისაჲ მის ჴრისტეს მიერ სანახლებაჲ ბუნებისა ამის კა-ცობრივისაჲ, რომელი-ესე მან განახლა ვნებითა თვსითა. ღოლო სატფურება არს საფლავსა შინა მკვდრობაჲ უხრწნელისა მის ცხორებისაჲ.

ზინაძე ვითარცა შაბათად შაბათთა სა-
ხელ-ვსდებთ თავსავე თვსსა შინა მრავალ
ნაწილ-ყოფასა შვედულისა რიცხვასა, ეგრ-
ეთვე სატფურება სატფურებათა უწოდთ გა-
ნახლებასა თანა ცხოველსმყოფელისა წლ-
დგომისასა განახლებასა კაცობრივისა ბუ-
ნებისასა.

ქამეთუ ოდეს-იგი ჴელითა იმრთისაათა
მოყვანებულ იქმნა კაცი არაყოფისაგან ყოფად,
შეუპყრობელ იყო იგი თავისაგანცა თვსისა
და ყოველთაგან თავისა თვსისა მიმართთა,
განსრულთავისა თვსისაგანდა ცხოველ იმრთისა
ზეშთა ქმნითა ყოველთავე ამათ ხილულთაგან.
წრარაჲ უწყოდა თვნიერ იმერთი მხოლოდ
დამბადებელი და მის მიერ მოისთულებდა იგი
ყოფასაცა და კეთილად ყოფასაცა ბუნებითითა
მით უხრწნელებისა შეერთებითა, ვინაჲცა
თვს უხრწნელებისა მიმღებელობითა იქმნა
და სამოთხესა საშუებლისასა შინა იქცეოდა,
რომელსა შინა ღე იგი ცხორებისაჲ დანერგულ
იყო. ზინაძე ხილულთა მათ მიერ იქმნებოდა
უხილავთა მიმართ აღსლვად მისი და ხედვისა
მიერ შეერთებაჲ წამბადებელისაჲ, და ღე
იგი ცნობადისა კეთილისა და ბოროტისაჲ
გამოსაცდელი იყო ურჩებისა და მორჩილებისაჲ
და თავისა მიერ თვსისა ერთგუამობითისა
მიმართ ცხორებისა განსლვისა მას შინა
მყოფობისა და მკვდრობისაჲ, და თავისავე
მიმართ თვსისა კუალად ქცევისა და თავისა
თვსისა ცნობისაჲ, რომლისა მიმართ აღმ-
ყვანებულ იყო ღე იგი ცნობადისაჲ, რომლისა
გემოხსილვად წინაგანმგებელობით დაა-
ყენა კაცი სახიერმან შან, ვითარცა არა
უმჯობესისაგან მისდა პირველ ზეშთა ბუნებისა
განმტკიცებისა და ვიდრე დამყარებადმდე მისსა
განუფრდომელობასა შინა კეთილისასა.

5. ღოლო მან იჴუმია რაჲ თანამზრახვალ-
ყოფად ბოროტისა მტერისაჲ შეტყუვილმან
ცუდითა მით სასოებითა განდმრთობისაათა,
ცრემლით შეირევიან ან სიტყუად და სასმენელი
ვერ თავს-დებთა ამის განსაცდელისაათა, ურჩ
ექმნა წამბადებელსა და განვრდომილ იქმნა
შისგან მომპოვნელობითა სიბოროტისაათა,
უფროხსლა ნეფსით განჴდითა ბუნებითთა
რჩეულთა წესთა და ჩუეულებათაათა შურისა
მიერ, რომლისა მიერ კუალად საგებელი თვსი
მოიღო მორჩილ მისსა ყოფითა. წა გემოდ იხილა

მწარისა მის საჭმლისაჲ, რომელი-იგი არა თუ
ჯორციელითა გრძნობითა მწარე იყო, არამედ
საქმისა აღსასრულითა. ქამეთუ ვითარცა-იგი
საჭმელთა გემოვნებაჲ მრავალგზის ვნებასა
გუამთასა შემომღებელ იქმნის, ეგრეთვე მე
შემემთხვა, რამეთუ ზოგადი არს ბუნებაჲ და
საზოგადო ნავის გარდაქცეულებად.

შუენიერ იყო ხილვად ნერგი იგი და კეთილ
საჭმლად ნაყოფი იგი. წრამედ დაფარულად
ხრწნილებაჲ შემოიყვანა, რამეთუ ზეშთა ბუ-
ნებისაობისაგან ბუნებისა გარეგანობად გა-
რდამომიყვანა მე და უხრწნელებისაგან გა-
ნრწნილად გამომაჩინა. წა ვიქმენ მონა ბო-
რგნეულისა ცოდვისა და ხრწნილებისა ჩემ
შორის გარდაფენითა. ჴ მე, ჩემისათჳს განსა-
ცდელისა, რამეთუ პირველისა მამისაჲ იგი ჩემი
არს.

6. ჴსრეთ ესევეთარი ესე ცთომილებაჲ ჴე-
ლთა ჴვსთა ქმნულისაჲ არა თავს-იდვა ბუ-
ნებით სახიერმან უგულებელს ქმნილად და
უგულებელს მყოფელად, რამეთუ ჩუენ მიერ
ღგი ჴავადი სრულიად უგულებელს ქმნილ იყო,
რაჴამს ყოველნივე მივსდერკით, ერთბამად
უბატივო ვიქმენით. წრამედ არავე სრულიად
უგულებელს-მყენა ცხოველსმყოფელმან და
შპყრობელმან და წინაგანმგებელმან, არამედ
დღითი დღე წინაგანგებით გუმართებდა ზოგად
ყოველთა და ჴვსაგან თითოეულსა შჯუელითა
და სიტყვთა საწინაწარმეტყუელოთა და ქვე-
ლისმოქმედებითა შემთხუევათა მიერ თავისა
მიმართ ჴვსისა მიგვწოდდა.

ღოლო დროებდა და აყოვნებდა სრულიადსა
კურნებასა ვიდრე ჴამისამდე შემსგავსებულისა.
ღოლო რაჴამს მოიწია აღსავსებაჲ ჴამთად(ღე.1,10),
რაჲთა სამოციქულოდ ვიტყვოდი, მოავლინა
იმერთმან ჴე ჴვსი შხოლოდშობილი შობად
წედაკაცისაგან, რაჲთა იქმნეს სრულ კაც. წა
იქმნა ჴგი ყოვლითურთ ვითარცა კაცი, თვნიერ
ხოლო ცოდვისა, რამეთუ იქმნა რაჲ ჴგი, დაებადა
და მიიღო, რომელი მოეცა და რომლისათჳს იგი
მოეცა, იჴუმია შან მისთჳს, რაჲ-იგი მიიღო.

ქქმნა სულისაგან და ჴორცთა სრულ კაც,
რამეთუ ესე დაებადა და ყოველნივე ბუნებითნი
ძალნი და მოქმედებანი და ვნებანი* სულისა
და ჴორცთანი მიიხუნა, რამეთუ ესენიცა
მოეცნეს და ესენივე მორჩილებითა შამულისა
ნებისაათა, რომლისათჳს მოეცნეს, მასვე პირსა

* „შეისწავვე: რამეთუ ვნებად აქა არა ცოდვათა იტყვს, რომელნი-იგი არა ბუნებითნი არიან, არამედ ბუნებითთა და
უცოდველთა, ვითარ-იგი არიან: შიმშილი და წყურილი, ძილი და შრომა და სხუანი ესევეთარნი“.

ზედა იჭუმინა და ყოველივე დაშვილებად, რომელი დაასაჯა შან საცხორებელად მცნებისა გარდამავალთა, ნეფსით ჩუენთვს დაშვილებითა თავს-იდვა.

ნა არს იმერთი სრული და კაცი სრული ყოვლითავე მრჩობლ, თვნიერ ხოლო გუამოვნებისა, ვინაფთგან ბუნებანი ორ არიან: იმრთეება და კაცება. ჯამეთუ არასადა ერთ ბუნებად ვთქუათ იმრთეება და კაცება, რამეთუ პირველი იგი აუგებელ არს, ხოლო მეორე – აგებულ. ღარნა არავე განწვალებით განყოფილ, არამედ არს იმერთი სრული კაცებასა შინა და კაცი ზეშთა სრულ იმრთეებისა მიერ. ჯამეთუ შემოკრბეს ბუნებანი ურთიერთას და ყოველნივე შათნი ბუნებითნი თვთებანი ერთ გუამოვნებად ძისა იმრთისა, რომელ არს ერთი ჟრისტე ოფალი, იმრთისა და კაცისა ძე, იმერთი და კაცი.

7. ზერ ვენევი იმრთად გულისწმის-ყოფად ზესუფსა და ვნებათა მიერ ვცხოვრდები და ნმიდა ვიქმნები. ზერ უსწრობ კაცად თქუმად წიაღთა შინა შამისათა მყოფსა და იმრთეებითა განებრწყინდები. სრა განვწყოფ შეურევნელთა, არა შევარწყუამ განუყოფელთა, რამეთუ თანად ორითავე იმერთ არს და თანად ორითავე კაც, ყოვლად იმერთ ჟორცთა შისთა თანა, ყოვლად კაც ზეშთა ღმერთთასა მას იმრთეებასა შისთა თანა. ზგივე ყოვლისა მპყრობელ, ვითარცა იმერთი შამისა თანა და სულისა, ზგივე მორჩილ შამისა კაცობრივითა თვთმფლობელობითა ნებისადა, ვითარ-იგი იქმნა კაც, იგივე ზუარსა ზედაცა და საყდართა შინა შამულთა.

ღჰა ახალთა საკვრველებათა აუგებელი იგი და დაუსაბამო, უკუდავი და საუკუნო, გარეშეუნერელი, უსაზღვრო, მიუნდომელი, შეუხებელი, უვნებელი და არანარმდინარე, უნივთო, მარტივი, შეუზავებელი; დამბადებელი, ყოვლისა მპყრობელი, ყოველთა შემცველი, მწყალობელი, დამმართებელი, სავსე და ზეშთა სრული და პირველითგან სრული; წმიდა წმიდათა, ოფალი უფლებათა, შეუფე მეუფებათა, ძალგანუზომელი, იმრთისა და შამისა სიბრძნე და ძალი, უხრწნელი იგი წათელი, უშურველი იგი ჰეთილი, თანაარსი და თანადაუსაბამო იმრთისა და შამისა. ზუამოვანი სიტყუა და ძე, ჯომელი ყოველთა ზედა იმერთ არს. წყალობისათვს დამდაბლდების მონისა მიმართ უცნობოხსა და გამოუთქუმელითა სახიერებითა ნეფსით

დაცარიელდების და განჯორციელდების. ღოლო განჯორციელდეს რად, ივნებს ჟორცითა და მოკუდების და დაეფლვის და კუალად აღდგების და აღვალს. ნა შამისა თანა მჯდომარე არს, ვითარ-იგი იქმნა კაც. ჯამეთუ ვითარ-იგი იმერთ არს, მოუკლებელ და განუზომრებელ არს შშობელისაგან განუზომელობით განუზომელი.

8. ზჰა მიუთხრობელსა განგებულებასა! საყდარ იმრთისა ზუარი გამოწნდა, რამეთუ მას ზედა სამშქუალითა შეემშქუალა გუამოვანი იგი სიბრძნე იმრთისა, ყოველთა მპყრობელობითი სამშქუალი ყოვლისა აგებულებისა და სოფლისა სიმრგულეთა. ზინაფცა **სავლე** იტყოდა, ვითარმედ: «სიტყუა იგი ზუარისა ნარწყმედულთა მათთვს სიცოფე არს, ხოლო ჩუენ ცხოვრებულთა ამათთვს ძალ იმრთისა არს!» (1 კორ.1,18).

ღსრეთ უკუე ნარწყმედულთა და უგრძნობელთათვს ზემოთგანვე ზუარი სისულელედ და ძვრად შერაცხილ არს. ღოლო ჩუენ ცხოვრებულთა ამათთვს თითოეულისათვს ძალ იმრთისა გამოჩინებულ იქმნა, რამეთუ რასა გამოსახვიდა ღე ცხორებისა წინააღმდეგომად ღისა ცნობადისა, ანუ არა ზედა-მინეწვით და ფრიად საჩინოებით ზუარსა გამოჰსახვიდა?

ღინაფცა ყოვლად ბრძენი **სოლომონ** იტყოდა: «კურთხეულ არს ძელი, რომელსა ზედა სიმართლე დანერგულ იქმნა» (სიბძ.სოლ.14,7). ნა რომელსა ძელსა ზედა სიმართლე დანერგულ იქმნა, თვნიერ ზუარსა ზედა ოფლისა ჩუენისა ზესუ ჟრისტესსა, რომელი იქმნა ჩუენდა იმრთისა მიერ შამისა ლხინება, სიმართლე და მწსნელ.

ჯასა წინა მოასწავებდა **საკობ** მოხუცებული, **ღსრაელ** იმრთივ განბრძნობილი ამას საკვრველსა საქმესა და სახელსა. წმისთვს თაყუანის-სცა წუერსა ზედა კუერთხისასა და შეცვალებით დაასხნა ჴელნი მორჩთა მათ ზედა **ღოსებისთა**, ახალმცენარესა მარჯუენე და უძუელესსა მისსა მარცხენე. ჯამეთუ ვითარევე ზედამინეწვით უწყით, ვითარმედ ძელისა მიერ და სახისცვალებისა ზუარსა და ახლისა ერისა ზედა შარჯუენისა შაღლისა დადებასა გამოჰსახვიდა, ვინაფთგან ძუელი იგი ერი ვითარცა ბინიანი განგდებულ იქმნა.

9. ღოლო ნიშთმოქმედი იგი კუერთხი **ღოსესი** გუელად შეცვალებული და გუელის მსგავსებასა მას კუერთხებსა გრძნეულთასა შთამნთქმელი ანუ არა ზუარსავე განცხადებულად გამ-

ოჰსახვიდა? რამეთუ იმერთმან თქუა: «წყელუ იყავნ გუელი ყოველთა შორის მჴეცთა და ქუენარმავალთა!» (მესქ.პ,14). ჴგრეთვე წევად შერაცხილ იყო ჴუარიცა, რომელმან ყოველნი წყევანი უჩინო-ყვნა. ღოლო თვთ არა დაადგრა წყევად, არამედ ვითარ-იგი პირველ გუელ ქმნილი კუერთხი კუალად კუერთხ იქმნა, ეგრეთვე ჴუარი წყევისაგან კუერთხ იქმნა მისაყრდნობელ და განსამტკიცებელ ერისა იმრთისა მის ზედა ტვრთვითა სიბრძნისა და ძალისა იმრთისაათა.

ჴინ განაპო ზლუად და გამოიყვანა **სეკსბით** **სრაელი** და განათავისუფლა ბნელისაგან და მწარისა მის ფარაოჲს მონებისა, მწარისა მძლავრისა და საქმის მანუევრისა, თიწისა და ალიზის მოყუარისა, ვითარცა გონებითა ნივთიერისა, და მბრძოლი იგი აჩუენა განცხადებულად შთანთქმულ წიაღთა შინა მენამულისათა. **სნუ** არა კუერთხმანა სახესა ჴუარისასა გამომსახველმან, რამეთუ ძელ იყო და ორგზის ცემითა სახე ჴუარისაჲ სრულყო, პირველად სიგრძით და მეორედ განით. ჴამეთუ ეგულეობდა შაცხოვრისა ჴუარსა მენამულებითა მით ოფლისა სისხლთაათა ბნელსა მას და განუღიმებელსა პირსა მოუმიდოვრებელისა მძლავრისა ჴოჯოხეთისასა დანთქმად და გამოყვანებად ერთარსებითისა ერისა მწარისა მისგან მონებისა ცოდვისა და ხრწნილებისა მათდა, რომელნი სულითა და ჭეშმარიტებითა ჰმონებენ იმერთსა.

ჴინ დაატკბო მერანი, ანუ უშობელი იგი თხემი კლდისაჲ წყალთმშობელად გამოაჩინა და კურნებაჲ წყურილისაჲ ორთავე ამათ მიერ **სრაელსა** მიანიჭა. **სრა** ჴუარის გამომსახველმან კუერთხმანა? ანუ არა იგიცა კუერთხი ჴუარსავე გამოჰსახვიდაა, რომელი იგი საკვრველებით ნაყოფიერ იქმნა და გამოორჩევაჲ მღდელობისაჲ საცნაურ-ყო. ჴამეთუ ეგულეობდა ყოვლად კეთილად საქადულსა და სანატრელსა ჴუარსა ძუელისა მის მწარისა წყლითრლუნისა თვსაგანად წყაროდ მეორედ შობისა შეცვალებად, რომელი-იგი მტკიცისა მისგან კლდისა – ჴრისტეს იმრთისა ჩუენისა გარდამოადინა.

ხინილადა თანა-წარგჰვედ **შოსეს** ჴელთასა ჴუარის სახედ განჰყრობასა, რომელი-იგი მაშინ **სმალეკსა** მძლე ექმნა, ვითარ-ესე ან ჴუარი ეშმაკსა, მაშინ **სმალეკისა** მიმართ გამოსახულსა.

ბა რაჲთა არა უმრავლესისა თქუმიტა განეშქრიდე სასმენელთა, რამეთუ იცის გემოვანთა სიმრავლემან განძლომისა მიერ დამძიმებაჲ სტომაქისაჲ.

10. ჴუარი გამოსახვით უკუე კერძოობითა და სახისმოსწავებითა ქველისმოქმედებათა ნათესავსა კაცთასა მოანიჭებდა. ღოლო ერთგზის დასასრულსა საუკუნეთასა რაჴამს ღარიგი იმრთისაჲ დაკლული იტვრთა, ჴოგად ყოვლისა სოფლისა ცხორებაჲ ქმნა.

სმას გარე მოადგენ ანგელოზნი ძრწოლით და შიშით და განკვრევით. სმისგან ძრწიან ეშმაკნი, რამეთუ ესე თითთა მიერ ჰაერსა შინა გამოსახვითა განიოტებს ეშმაკთა. ღოლო კაცთაგანნი, რაოდენნი თაყუანის-სცემენ, ნეტარ არიან მისმიერისა ქველისმოქმედებისათჳს. ღოლო რაოდენნი არა ჰმსახურებენ, რამეთუ ბოროტად ურწმუნოებითა დაბრმობილ არიან და ბოროტად ეშმაკულ წარწყმედისათჳს. სმან კერპთმსახურების ბნელი განჰადა და ნათელი იმრთისმსახურებისაჲ აღმოგვბრწყინვა ჩუენ.

სმან ცუდ-ყო **ჴურიათა** სიქადული, რომელნი-იგი კაცისა მიმართ ესვიდეს და იტყოდეს: «მამაჲ გვვის ჩუენ **სბრაჰამი**» (მთ.პ,9), და ჴეგარდამო შობილნი წყლისა მიერ და სულისა ძედ იმრთისა და მკვდრად გამოაჩინნა და ჴამად წოდებაჲ იმრთისაჲ მიჰმადლა.

სმან სიბრძნე სოფლისაჲ სულელ-ყო და მეთევზური რიტორად გამოაჩინნა. ჴიშუელნი და გლახაკნი ბანაკებისა მძლავრთაჲსა უძლიერეს-ყვნა. სმის მიერ მოუძღურდა მშჴლდი ძლიერთაჲ და უძღურთა გარე შეირტყეს ძალი.

სმის მიერ მოიკლა სიკუდილი, განმიშუღდა ჴოჯოხეთი და დაცარიელდეს საუნჯენი მისნი და სანერტელი იგი სიკუდილისაჲ – ცოდვაჲ დაბრყვლდა, ვინაჲცთა მე შემიმოსიეს უხრწნელებისა სამოსელი და განახლებული ვდლესასწაულობ აწინდელსა ამას სატფურებასა და ახალსა გალობასა უგალობ ახალსა ამას სართულსა **სლდგომისასა** და გალობითა სატფურებისაჲთა საენკენიო-ვჰყოფ განახლებასა ბუნებისასა.

11. **სსე** ცხოველსმყოფელი ჴუარი ჴეცით გამოუჩინდა მეფესა წინაჲსწარ ცნობილსა იმრთისასა გულისსიტყუთა და წინაგანსაზღვრებულსა წინაჲსწარ ცნობისა მიერ და დაადგინა იგი მეფედ სამართლისა. ჴამეთუ ვინაჲთგან მრჩობლ აგებულნი ვართ, სულისაგან ვიტყვ და ჴორცთა, და მეფობასა სრულ-

ჰყოფს პორფირითა შემოსილი გუამი და თავი გვრგვინითა განშუენებული. წმისთჳს სათნოებათა აღმავსებელ არს ჴუარი, რამეთუ ჴუარსა შორის დაფარულ არს სრულებად სათნოებათა. ჴინაძცა ნაცვალად პორფირისა და გვრგვინისა სათნოებითა შეამკო იგი ჴუარმან, რაჟამს შვეულიერად მეფე და ოფალ-ყო იგი ვნებათა ზედა შემკობილი გვრგვინითა იმრთისმსახურებისათა და განშუენებული პორფირითა სიმდაბლისათა. წმიერ შეიმოსა მან ძალი და ყოვლით კერძო ქუეყანისა განჰფინნა ძლევენი, დაემორჩილა რა იმერთსა მეფედ დამადგინებელსა თჳსსა და მისითა ძალმწედ მიყვანებითა ყოველნივე ტომნი მბრძოლთანი მორჩილ თჳსსა ყვნა, რამეთუ ვინაფთგან პირველად იმრთისმსახურებასა ზედა განმწნდა და თჳსად განიკუთვნა იგი. შიერთგან ყოველივე წარმართებად და განმარჯუებად თანა მოყუას მისსა ყო, რაჟამს მძლე ექმნა ტომთა ურწმუნოთა და მათ თანა ყოველნი საბრძანებელნი მათნი დაისხნა ფერჯთა ქუეშე. ჴაჲსა ქონებითა ანუთუ ვისითა მინდობითა, გარნა თუ რამეთუ მისდა ჩუენებული იგი ჴუარი ყოვლად საჭურველ ექმნა მას.

შიერთგან უკუე ქუეყანასა ქუეშე დამალული იგი იძიებოდა საძლეველი ნიში, რამეთუ სათნო-ყო მას ზედა წამშქუალულმან ყოველსა სოფელსა განფენად ქადაგებად შისი. წა ამისსა ძიებასა მსახურ ექმნა მეფესა დედად მისი შუენიერი იმრთისმსახურებითა და შუენიერი სხვათაყა ყოვლით კერძოთა სახითა, რომელმან იგი არა უდარესი სამკვდრებელი მიჰმადლა ძესა უფროსს, ვიდრელა მამამან სამეუფოა ქუეყანად, ვინაფთგან სარწმუნოებად უფროსს მეფობისასა განმტკიცებულ-ჰყოფს შვილთა.

წმისთჳს წმიდასა ამას ქალაქსა მოინია სათნო-ყოფითა და წამის-ყოფითა იმრთისათა, რომლისა შემწეობითა ქუეყანასა ქუეშე პოვა მან სამგზის სანატრელი და მრავალ საგალობელი ძელი ჴუარისა, რომელი-იგი საღმრთოჲსა ძალისა კეთილად წილხუდომილ არს და საკვრველებად ესე რაბამ რაჲმე დიდ და განსაკრთომელ. ჴამეთუ რაჲ არა აღსავსე არს განსაკვრველობითა საქმეთაგანი იმრთისათა, ვინაფთგან ნამდვლვე იმრთისა არს ძელი უძღური ძალითა, არამედ არა მადლითაყა სამასსა წელიწადსა მინასა შინა დამყოფი და ხრწნილებისა არამიმღებელი. ჴჳა დიდსა ამას საკვრველებასა! ჴარნა ნამდვლვე ყოველი ბუნებად წამებს ზეშთა ბუნებათაობასა

წამბადებელისასა და კეთილად ერთგულებით ქადაგებს მეუფებასა შისსა. ჴაჟამს ბეჭედი სარწმუნოებისაჲ ჯელთა შინა მბრძოლთასა იავარ ქმნილი განერეს, არამედ არა იცნეს, რამეთუ უკუეთუმცა ეცნა, არამცა ოფალი იგი დაბადებისაჲ ჴუარს-ეცუა.

ღჳა ჯელმწიფებასაჲ ყოვლისავე შემოქმედისა იმრთისა და კუალად შემცვალელებისასა! ჴამოვიდა საუნჯეთაგან ქუეყანისათა საძლეველი ძელი ჴუარისა, რომელი მიანიჭებს მეფეთა ქუეყანისათა სკიპტრასა ზეცათა შუეფისასა. წმიერ საფლავი აღსადგომელისაჲ შეიმკვების, არა თუ ვითარმცა იგი მოქენე იყო შემკობისა და ვითარმცა მოქენე იყო, რომელმან-იგი კაცთა ბუნებად შეამკო სამოსლითა უხრწნელებისათა, არამედ მოქმედთა ესე-ვითარისათასა შეამკობს კეთილსა გულისსიტიყუასა. წმიერ საღმრთოჲ ესე და დიდებული ტაძარი აღეშენა საფლავსა ზედა შაცხოვრისასა და ყოველსავე ჟამსა უფროსად შეიმკვების. წმიერ ძხემისა წდგილი კარავისა მის იმრთისა საკურთხეველი ჴელესიისა სახედ დაისახვის და თაყუანის-ცემად თჳსსა შემოჰკრებს ყოველთა კიდეთა.

წმიერ ჴუარი ამაღლედების და მთავარი იგი ჰაერისაჲ დაიწსნების და ჴურიათა სიქადული დაირლუევის. სადა უკუე არს ან კარავი ტაძარსა თანა მრავალ საჩინოსა, კიდობანსა და ფიცართა, კუერთხსა და ტაჴუკსა, ტაბლასა და სალხინებელთა, ჴერობინთა მაგრილობელთა, რომელთა-იგი მსახურ და თაყუანისმცემელ იყვნეს; ანუ არა ოჯერ არსა ტაძარი, ანუ არა ნაცვალად მათსა შემოყვანებულ იქმნა ძე მწევლისაჲ **ღსმელ**, საძაგელი იგი მოოჯრებისაჲ, ანუ არა განიპოა კრეტსაბმელი ტაძრისაჲ და სული წმიდაჲ განვიდა მიერ, სულად წმიდად უწოდ მოქმედებასა სულისასა.

12. წრა სადმე ცუდად წინაფთვე ჴმობდა იმერთი საშინელისა მის განჩინებისა მოწამედ შემოყვანებითა ცისა და ქუეყანისათა: «ღსმინე, ცაო, და ყურად ილე, ქუეყანაო, რამეთუ ოფალი იტიყოდა: ძენი ვშვენ და აღვამაღლენ და მათ შეურაცხ-მყვეს შე»(ეს.1,2). წა ვითარ არა შეურაცხ-ყვეს, რაჟამს ძე და მკვდრი მოკლეს. «ღცნა ჴარმან მომგებელი და ვირმან – ბაგაჲ უფლისა თჳსისაჲ. ღოლო **ღსრელმან** შე არა მიცნა და ერმან ჴემმან არა გულისწმა-ყო»(ეს.1,3), რომელი-ესე განცხადებულად სრულ-ყვეს, რაჟამს ჴრისტეს მიმართ ჴმობდეს: «სადა არს შამაჲ ჴენი?»(ინ.8,19), უმეცართაჲ არს კითხვაჲ

ესე, ვინაჲცა ჯეროვნად და შემსგავსებულად სიტყუა-უგო მათ შესუ ჩემმან: «არცა შე მიცით, არცა შამაჲ ხემი. ოკუეთუმცა მიცოდეთ შე, შამაჲცამცა ხემი იცოდეთ» (იქვე), რამეთუ იგი თავადი იყო იმრთისა და შამისა სიტყუად მქადაგებელი. **შატევებულ იქმნა ასული სიონისაჲ**, ვითარცა კარავი ვენაჴსა შინა და ვითარცა ხილისსაცავი ლელუსულელსა შინა, ვითარცა ქალაქი გარეშეცვული.

უსრეთ უკუე რომელი უწოდს არარსსა მას, ვითარცა არსსა შორითვე წინანარ მხედველითა თუალითა ყოვლისავე წინანარ ხედვითა წინა აღმოთქუა ყოფადი. **ჟოლო არა იგი იყო მიზეზი საქმეთა მათ ქმნისაჲ**, რამეთუ არცა ერთსა ვის განსცდის იმერთი, ვითარ-იგი არს გამოუცდელი სიბოროტისაჲ, არამედ თავით თვსით განიცადების თითოეული თვსისა გულისთქუმისა სამჭედურიტა მონადირებული და მითრეული, ვითარცა-იგი თვთ დამნთქმელ ვინმე იყვის თავისა თვსისა სიბოროტისა მიერ, ვითარ-იგი ეზრახების მთავართა **სოდომისა და ლომორისათა**.

«ქაჲ არს ჩემდა სიმრავლე მსხუერპლთა თქუენთაჲ, – იტყვს ოფალი, – აღსავსე ვარ მე ყოვლად დასაწუეველებითა ზუარაკთაჲთა და ცმელითა კრავთაჲთა, სისხლი კუროთა და ვაცთაჲ არა მნებაჲს. ოკუეთუ მომართუათ მე სამინდოჲ, ამოჲ არს. საკუმეველი საძაგელ ჩემდა, თვსთავნი და შაბათნი და დღე იგი დიდი თქუენგან არა თავს-ვიდვა. შარხვანი და უქმობანი და დღესასწაულობანი თქუენნი სძაგან სულსა ჩემსა. შექმნენით მე განსაძლებელ, დათრგუნვად ეზოჲსა ჩემისა არლარა შესძინოთ. **ოდვანი თქუენნი არლარა თავს-ვისხნე**. ოკუეთუ ჴელნი განიპყრნეთ ჩემდამო, გარე მივიქციო პირი ჩემი. ოკუეთუ განამრავლნეთ ვედრებანი, არასადა ვისმინო თქუენი, რამეთუ ჴელნი თქუენნი სისხლითა სავსე არიან» (ეს. 1, 11-15), რომელთა წინანარმეტყუელთა და მონათასა თანა სამეფოფონიცა სისხლნი ზედავე დაჰრთნეს.

ქაჲ ნათესავსა ბოროტსა, ვაჲ თესლსა უმჯულოსა, რომელთაჲ ერთი ოდენ არს ჴსნაჲ, ერთილა ხოლო საკურნებელი დაშთომილ არს თქუენდა, უკუეთუ ოდენ გენებოს, რამეთუ წინააღმდეგომნი წინააღმდეგომთა საკურნებელ არიან, რაჲთა ერთბამად სახეცა ცნობასა თანა შეიცვალოთ და უფროჲსლა საქმე სიტყუასა თანა: განიბანენით, განინმიდენით წყ-

ლისა მიერ და სულისა ნათლის-ღებითა სხურებულნი მენამულობისაგან მატყლად ფერმქარვეობისაგან სისპეტაკედ თოვლისა და ყოველივე, რაჲცა რაჲ არს კეთილი ქუეყანისაჲ, თქუენდად იყოს.

13. **სრამედ**, ეჴა უგუნურებასა, რამეთუ დაადგრა **სიონ** სარწმუნოჲ ქალაქი მეძავადვე და აღსავსე არს სისხლითა, ოდესმე აღსავსე სიმართლითა და მშჴავრითა. **სარნა არა თუმცა ოფალმან** საბაოთ დამიტევა ჩუენ თესლი ძლიერმან მან **სრაელისამან**. ჩუუკუედა ვითარცა **სოდომამცა** შევიქმნენით და **ლომორასა** მივემსგავსენით. **ჟოლო აწ დამიტევა ჩუენ თესლი წმიდაჲ**, რომელი-იგი თესლისაგან **შავითისსა** აღმოგვბრწყინვა ჩუენ, რომლისათჳს ვდღესასწაულობთ დღეს ყოველნი, რომელთა ვიცანთ ოფალი.

სრა უმეცარ ვართ მისსა, არცა ორგულებით მეცნიერ ვართ. **სრამედ** საგრძნობელითა გულსაჲთა ვიცით ოფალი, არა თუ რაჲ-იგი არს, არამედ ვითარმედ ჴემმარიტად არს, რამეთუ არა გარდაჴვლის ღადირთა ბუნებისათა, არამედ დაჴფარავს ზღუასა და ყოველსა ქუეყანასა იმრთისმეცნიერებითა წარჰრლუნის, რამეთუ ჴუნენი მისნი აღჴდეს ზღუასა ზედა ყოველთა წარმართთასა. **შა** ვითარცა ისარნი ძლიერისანი განიტევენს **ჯუარისსახითა** მშჴლდითა ბანაკთა ზედა ბოროტისა მტერისათა ჴრისტეშემოსილნი მოციქულნი.

შა ვითარცა ეტლთა რჩეულთა მათ ზედა მჯდომარედ მოაქუნდა შზე იგი სიმართლისაჲ, რომელი-იგი ვითარცა ათორმეტ ჟამი რაჲმე დღე თავისა მიმართ **ძვსისა** შემოჴკრებს და შეასრულებს ყოველთა მთისა მიმართ **სიონისა**, ვინაჲ-იგი სულიერი მჴული გამოვიდა და **სერუსალემდ** წმიდად ქალაქად, ვინაჲ სიტყუად იმრთისაჲ გამოვიდა, რომელი-იგი იხილა გრძნობადმან ამან მზემან **ჯუარსა** ზედა ამაღლებული შუვადღე და დაიფარა ნათელი **ძვსი**, ვითარ-იგი ძუელ სადმე წინა-თვე აღმოეთქუა წინანარმეტყუელსა წინა მხედველობით განკვრებულსა, ვითარმედ: «დაჴდეს მზე შუვადღე» (ამოს. 8, 9). **სე** თვთ ჴგი არს მეტყუელ ამისსა **სმოს** წინანარმეტყუელი, მშობელი წინანარმეტყუელისაჲ. **ჟოლო** შენ ისმინე, თუ რასა ჴმობენ ცხენნი იგი სულისანი სიტყვერთა ჴვვილთა მიერ.

შოვედით და აღვიდეთ მთასა ოფლისასა და სახლსა იმრთისა **საკობისსა** აწ ჟამ ერთ აქა,

ხოლო მერმე მიერ მთად მიმართ მაღლად და აღმატებულად თვთ მათ ცათა, სადა-იგი ჴრისტე შამისა მიმართ აღვიდა. შოვედით და ვიდოდით ნათელსა მისსა, რამეთუ გამოგვრჩინა ჩუენ ერად თვსად სახლი **საკობისი**. **ნუ** არა ჩუენ ვართა სახლი **საკობისი**, რომლისაგან განვარდა ერი უცნობოდ და დაუმჭირველი სულისასა მას პირმშობასა.

14. შოვედით, აღვიდეთ მთად წმიდად, რამეთუ გამოჩინებულ არს უკუანახსენელთა დღეთა თავსა ზედა ამაღლებულთა მთათასა ნეტარი ესე **სოლგოთა**, მთად უსაჩინოესი და სიტყვთა მაღლისადათა მიმწდომელი კიდეთა სოფლისათა, მაღალთა უმაღლესი და წმიდათა ყოველთა ვითარცა ჭეშმარიტად უწმიდესი, რომელსა ზედა ამაღლდა რქად საყუარელისა მის მარტორქისა. ჴუარი დიდებული და ყოვლად ქებული, რომელი-ესე ამაღლდების, რომელმან ბოროტად ბორგნეული იგი სიკუდილი ჴელად იგდო, მაგინებელი იგი და ამპარტავანი, მაღალი იგი პირველ და განსაცხრომელი, და დადვა იგი ვითარცა სირი სამღერელად ყოველთა. **ნუ** არა ყრმანიცა შეჰკადრებენ მასა ცხორებისა უფროსს აღრჩევითა სიკუდილისადათა?

15. **სე** არიან საქმენი ჴუარისანი. **სე** არიან მაღლნი ჩუენდა მონიჭებულნი, ესე მთად წმიდად საჩინოთა უსაჩინოესი, და ესე საფლავი ყოვლად სანატრელი სამკვდრებელი იმრთისა, სასძლოდ სამეფოვო, გამოსადნობელი ბუნებისა ჩუენისა, რომელსა შინა კუალად დაიბადა ჭურჭელი შემუსრვილი დაბადებითა რჩეულითა და საუკუნოდ მყოფითა, რომელი პირველისასა მას უფროსს მოქადულობს უმტკიცესობითა და უგანმაგრებულესობითა, რომლისა თვთ ესე არს უსაკვრველესი, რაოდენ მიუთუალველ არს კუალად შემუსრვისა, რომელსა შინა დაინთქა მოკუდავი იგი ცხორებისაგან და განათლდა კუალად ცხორებად არღარა მიქცევითა სიკუდილისა მიმართ.

15. **სე** ძუელ სადმე ვეშაპისა შორის გა-

* შეისწავე: რამეთუ სიტყუად ესე, ვითარმედ: „არა ველსა ზედა დამაცვენებელ ექმნა თმათა თხემისა მისისათა“ სანარმართოვსა წიგნისაგან არს, რომელსა ლუკოფრონ უწოდებენ, რამეთუ ლუკოფრონ ვინმე წარმართი შეასხამს ახოვნებათა ღმრთისა მათისა ირაკლისა, ვითარმედ მახვლითურთ თვსით შთაქდა ბრძოლად მუცელსა დიდისა რაფსმე ვეშაპისასა და ესოდენ განგრძობილად შჭრიდა შინაგანსა მისსა, ვიდრემდის რაფსმს მოკლა იგი. მამანი თხემისა ირაკლისისანი შემწუველობისაგან ვეშაპისა ნაწლევთადა მუნვე ველსა ზედა მუცლისა მის ვეშაპისასა დაცვენებულ იქმნეს, რამეთუ ესოდენ დიდად იტყვან იგინი ვეშაპთა მათ ეგევითართა: ვიდრელა ველთა და წნარცუთა აზნობენ ყოფად მათ შინა. **წინა**ცა დიდი დამასკელი **სოვანე** ყუედრებით ეტყვს წარმართთა, ვითარმედ: არა ვითარ თქუენ ზღაპრობთ ირაკლისთვს, არამედ მრთელად და უნაკლულად გამოიყვანა ჴრისტემან სიღრმეთაგან ზღვსა და ვეშაპისათა.

ესე სიტყუად ბერძულად ესოდენ ძნელ იყო, ვიდრემდის თანა-წარვლნა უსახელოვნესნი ანტიოქიისა ფილოსოფოსთანი და თვთ წმიდისა პატრიარქისა **სოვანეს** მიერ განგუემარტა ჩუენ... [სოვანეს] ვიტყვ ან ახლად ოქროპირად გამოჩინებულსა და ძუელისა მის მიმხუეჭელისა... შიერევი მიმხუეჭელით...[თანა] ზიარისა...

მოსახული სამ დღე შემწუარსა მას **სონას** ნაწლევთა შინა მვეცისათა არა ველსა* ზედა დამაცვენებელ ექმნა თმათა თხემისა მისისათა, არამედ მრთელად და უგერშოდ და უბინოდ აღმოიყვანა იგი მთხრებლთაგან ზღვსათა და ნაწლევთა ვეშაპისათა. **წმან** ცუარი საჭუმილსა მას ზედა ყრმათა **ებრაელთასა** გარდამოიყვანა. **წმან** **წანიელ** მღვმე-შენყუდეული და მვეცთ-მიცემული უფნებელად დაიცვა, რაფსმს სიმახვლე იგი ლომთა ბრჭყალებისა დააბრყვლა, შუვანი შეუკრნა და ლომებრი იგი მატყლით მჭამელი ბრდღუენად კრავთა უმშვდეს გამოაჩინა. **წა** ცოცხლად მიუთუალველად ყოვლისა რყუნილებისა მკუდრად მოსალოდებელი იგი მძლავრსა ქალდეველთასა წარმოუდგინა.

16. **წმან** ყოველთა ცხორებად რად ჴორციელად მიაძინა, ვითარცა საღმრთოსა რასმე პალატსა შინა, ყოველთავე ძილად უჩუენა სიკუდილი, ვითარცა მომატყუებელი საღმრთოსა ცხორებისა, ვინაიცა ვდღესასწაულობთ დღეს წესთმთავრად მოგებითა მშვდობის დასაბამისადათა.

17. **წმან** მოვიდა ოდესმე მესაიდუმლოე ქმნილი **შოსე** მთით **სინით** დიდებულ ქმნილი პირითა მიმღებლობისათვს სულისა და მოაქუნდეს ღიცარნი დანერილნი მითითა იმრთისადათა და სახე კარვისა მსგავსებისაებრ ყოვლისა სოფლისა. **წა** **ესელიელ** ჰმსახურებდა განბრძნობილი საღმრთოთა სულითა, და ნივთი იგი მისი რაბამ რამე მრავალსაყიდლის და თითოსახეობით შემოკრებულ ოქროს პატრიოსანი და ვეცხლი, რვალი და რკინა, კაკინთო და ბისონი და მენამული თუალნი თითოფერნი და მრავალსა რასმე ჟამად-ჟამადსა ბრწყინვალეებასა გამომცემელნი.

18. **წმან** თანა სელი და მატყლი ბალანსა თანა მოღებულნი, რამეთუ მოიღებდეს თითოეული შემსგავსებულსა თვთმფლობელისა ნებისასა. **სრეთ** უკუე ფრიად მრავალსაყიდლისად აღაშენა **ესელიელ** კარავი. **ხოლო** განაახლა

იგი **შოსე** დადებითა მას შინა ყოველთა სინმიდეთათა: ღიდობანი, ღიცარნი, ღუერთხი და **ქაკუკი**, **ქაბლა** და **სალხინებელი** და **სასანთლე** და **სასაკუმეველე** ოქროსაჲ. **შსრეთ** რაჲ შეიმზადა ყოველი, განაახლა იგი ვაცთა და ზუარაკთა სისხლითა.

ქაბამ რაჲმე მრავალსასყიდლის იყო განახლებული იგი, არამედ უნდო და კნინ საცხებელი მისი. **ქოლო** ჩუენისა ამის სატფურებისა განახლებაჲ არა ესრეთ არა, არცა ესრეთ არა, არცა ესე არს ნაწილი და სამკვდრებელი **ქაკობისი**, არამედ სისხლითა იცხების საღმრთოთა და **ქმიდითა** სულითა, რომლითა იცხო იმერთი ჩუენი. **შრა** თუ ვითარმცა არა აქუნდა; რამეთუ თვთ იგი არს მომცემელი სულისაჲ, არამედ ვითარცა ჩუენთჳს **ქანკაცებული** და **ქცხებელი** და **ქხებული**. ქამეთუ ერთი და იგივე არს თანად ორივე **ქანმალმრთობელი** და **ქანღმრთობილი**, რამეთუ იცხების თავით თვსით კაცებაჲ იმრთეებითა. **შმით** საცხებელითა მცხო ჩუენცა და სახლ იმრთისა გამოგუაჩინნა სამკვდრებელად სულისა, ვინაჲცა რომელთა სარწმუნოებაჲ საფუძველად მიგვლიეს, ვაშენებდეთ ჩუენცა ოქროსა და ვეცხლსა და ქვათა პატიოსანთა, ნუ ძელსა, თივასა და ლერწამსა – ნივთთა ამათ ცეცხლისათა. **შა** ესრეთ ჩუენ შორის რაჲ მოგუაქუნდეს თანამკვდრობაჲ სულისაჲ, ვგალობდეთ გალობასა საღღესასწაულოსა: **ქენ ხარ ქრისტე** იმერთი ჩუენი, **ქენსა** გარეშე სხუაჲ არავინ უწყით.

შღეს განახლდების **შღდგომად** **ქრისტესი** არა ზუარაკთა და ვაცთა სისხლითა, არამედ საღმრთოთა სისხლითა და მოსლვითა აუგებელისა და ცხოველსმყოფელისა სულისაჲთა დაენერგა ოდესმე სამოთხე **ქდემს** აღმოსავალისასა, რაჲთა რაჲმე იყო სამოთხე იგი საღმრთოთა ნერგთა სიკეთითა განშუენებული. **შა** ამისი სატფურებაჲ იყო მას შინა დამკვდრებაჲ საღმრთოჲსა ხატისაჲ, არამედ შეიფარილა ხატებაჲ წარპარული ცნობისა წარმდებებითა და გარეგან იქმნა საღმრთოჲსა მის მწყობრისა, რომლისათჳს ვითარცა თვთმპყრობელისათჳს და ყოველთავე ქუეყანისა და ზღვსათა მთავრად დადგინებულისათჳს სამეუფოჲ საყოფელი განჰმზადა დამბადებელმან, და დაიცვოდა იგი მოტყინარისა მახვლისაგან, და **ქერობინი** აყენებდა გზასა **ქისა** მის **ქხორებისა**.

ქეჰმზადა ოდესმე **ქოვე** კიდობანი განს-

არინებელად მსოფლიოჲსა მის რღუნისა დანთქმისაგან, რომლისა სატფურებაჲ იყო რვათა სულთა სიტყვერთა და პირუტყუთა სიმრავლისაჲ მას შინა დამკვდრებაჲ (**შესქ.7,1-3**). **შრამედ** უწყით, ვითარ დაიჴსნნეს შედგმულებანი მისნი. **შთად** **ქრარატისა** წამებს, ვითარმედ დაჴსნილ არიან.

სატფურებაჲ იყო **ქავითის** მეფობისაჲცა და საცხებელი მისი ზეთი იყო. **შყო** სატფურებაჲ **ქერუსალიმს** მრავალ საჩინოჲსა და მიმოგანთქუმულისა ტაძრისაჲ, რომელი-იგი **სოლომონს** აღეშენა, მეფესა და წინანარმეტყუელსა სამეუფოთა და საწინანარმეტყუელოთა სისხლთაგან შობილობითა განშუენებულსა, რომელმან მიფენაჲ სიბრძნისაჲ პირველ ყოველთასა ითხოვა და მიიღო. **ქარნა** **სოლომონისი** იგი დაარღვა **ქესუ**, ახალმან **სოლომონ**, **შთავარმან** მშვდობისამან. **ქომელმან** შუა კედელი იგი ზღუდისაჲ მის დაჴსნა მტერობაჲ იგი ჴორცითა, რომელმან ცაჲ ქუეყანა ყო და ქუეყანაჲ – ცა, და ორივე იგი ერთად შესაკრებელად შეჰმზადა. **შან** თავადმან თქუა: «აჰა ესერა, დაეტევოს სახლი თქუენი ოჯრად» (**მთ.23,38**). **ქქუენი** სახლიო და არა ჩემი. **შა** სიტყუასა ამას საქმისა ძალი აქუნდა.

16. **შრამედ** დიდებული ესე საფლავი ზოგადისა კაცობრივისა ბუნებისა განმახლებელი თვთ მას **ქამბადებელსა** მისსა მიიღებს განმახლებელად და განუახლებს ყოველთა მოკუდავთა აღდგომასა, არა განხრწნადსა, არცა წარმდინარესა, ვინაჲ ამისიკა გარეშემცველი სახლი განახლდების დღეს და ამიერ ვდღესასწაულობთ სატფურებასა სატფურებათასა.

17. სადა უკუე არს ძუელი იგი **ქაძარი**, სადა არს **ქმიდა** წმიდათაჲ. **შნუ** არა ყოველნი წარჴდესა? არამედ არა წარჴდეს, რამეთუ წარჴდომილ არიან ვითარცა აჩრდილ შემდგომად მზისა გამობრწყინვებისა, ხოლო **ქგიანვე** ყოვლით კერძო აჩრდილის-მწერლად ჴეჰმარიტებისა.

18. **შსე** არს **ქდემი**, ესე არს **ქე** **ქხორებისა**, სამგზის სანატრელი **ქუარი**, ესე არს **ქეთელი** – სახლი **ქფლისა** სანატრელი. **შსე** არს მთაჲ მაღალი, სადა-იგი არს ნერგი **ქაბეკი** მოტევეებისაჲ. **შსე** არს ადგილი იმრთისაჲ, რომელსა მოაქუს საცნაური კიბე ჩუენდა მომართ გარდამოსლვაჲ იმრთისაჲ, რომელი იგი არს, ვითარ ჩემდა სათქუმელ არს, ნეფსითი იგი საღმრთოჲსა დიდებისაგან დაცარიელებაჲ

ჩუენისა ამის მომართ სიმდაბლისა, გინათუ კაცთა მომართი მსგავსებაჲ და ქუეყანასა ზედა ქცევად და ქუესკნელისათა მიმართიცა შესწავებაჲ. ჟამეთუ დაიმდაბლა თავი ღესი, რომელი-იგი მალალ იყო და დიდებისა ოფალ, და ქუეყანად გარდამოჴდა უცვალეხელი. 5
 ზა იხილვა და საცნაურ იქმნა ქუეყანისათა შორის. ღოლო არარაჲთ უდარეს მათსა ეგო ზეცისა მჴედრობათაცა თანა უხილავად და მიუნდომელად სახიერებითა და ჴელმნიფებითა. 10

სე მთად სინაჲ არა ნისლითა და არმურითა და ცეცხლითა მკუმოლვარე, არამედ იმრთისა მიერ ჴორციტა ჩუენთჴს მომკუდრისა გან-
 შუენებული და განუზომელითა და შეუსაზ-
 ღრვებელითა სიდიდითა საღმრთოჲსა დიდე-
 ბისაჲთა, ვითარცა მკუდრისა, ღმრთობითა ჴა-
 ეროვან ქმნული.

სე არს ყოვლისა სოფლისა სახედ შემკულისა მის ღარვისა* მმიდაჲ წმიდათად, არამედ მა-
 თისა მის პირველ ქმნულებისა უეჴუელად ესე მიზეზ ქმნულ არს, რომელთა ამისთჴს გან-
 ვიცდიდეთ, ვითარცა მტკიცეთა მონამეთა ჴემმარიტებისათა, რომელნი არღდილის-მწე-
 რლობენ და გამოხატვენ თანა წარსლვითრე მათ, რომელნი მტკიცედ შეყენებულ არიან 25
 და სარწმუნო-ჴყოფენ სიმტკიცესა წამებისასა მონენითა ჴემმარიტებისაჲთა.

17. სადა არიან ან **შელფეოჲსა** **სითჴანი**, რომელთა-იგი სიჩქურის ზრახვა არს წინა-
 წარმეტყუელებაჲ. სადა არიან ან **ღროფონიო** და **სლევსი**. სადა არს საფლავი **ღსირიდოსი** და **ზავვრინთიო** **ღესესოსი**. სადა არს მთად **ღლჴმპიელითა**, ჴაძარი ღმერთთად, ვითარ-
 იგი იტყჴან ცუდ სახელთა მათთჴს. სრა იმრთის ჴორწინებანი არიან ესე, არცა კუალად 30
ღიიპოლიანი, არცა **სიღღოჲს** უცნებანი, რომელთა კეთილად ყვეს, რაჴამს დავინყებისა უფსკრულითა დაიფარნეს, ესეოდენ კეთილად შეემთხვა და ყვეს, რომელთად ყოფად ტყუვილ არს და არაყოფად – მტკიცე. ზა არა ზოლო ტყუვილ-ყოფად ჴეროვან არს და ღირს, არამედ ჴემმარიტ-ყოფადცა უჴერო და ბილწ.

ღოლო აქა კუალად საღმრთოთა ამათ და ჩუენთა შინა ყოველივე წინა-უკუმო არს: ესენი უკუმე არა, ზოლო იგინი ჴჴ. სგი ეგრეთ, ზოლო ესე არა ეგრეთ, რომელი-ესე თჴს არს სინმიდისა და ჴემმარიტებისა.

სწ უკუმე რომელნი-ეგე დაუკლებელითა

მადლითა სულისაჲთა აღვსებულ ზართ, რომელი-იგი სცხო ჴრისტემან დიდებულსა და პატიოსანსა სახლსა თჴსისა სღღგომისასა, რომელნი-ეგე ერ და სამწყსო ჴრისტესსა ყოფად 5
 და თქუმად პატივცემულ იქმნენით, მოვედით და ვიხარებდეთ საღმრთოთა განცჴბრებითა შეცვალეხულნი. სრა ჴვეოჲს მქონებელნი წინამძღურად ჴოროლით მომღერთა, არამედ ჴრისტესა ჴაცხოვარსა და ოფალსა. სრა მო-
 გაქჴს ძარღუები, არცა ფარები, არამედ სა-
 რწმუნობად და სასოებაჲ და ერთ-მყოფელი და იმერთ-მყოფელი სიყუარული.

სრა თუ ზღღმისა ზედა მეჴოროლეთასა აღჴყობილნი, არამედ აღსავალთა მათ საღ-
 მრთოთა გულსა შინა დადებითა ფრთოვან ქმნულნი. სრა თუ ბორგენულნი ჴჴმოზთ ვა-
 შასა, არამედ ჴმითა საღმრთოჲსა სულისაჲთა შემოკრებულნი ჴლაღადებთ: «ვითარ განდიდნეს 15
 საქმენი შენნი, ოფალო, ოფალო ძალთაო, ყო-
 ველივე სიბრძნით ჴქმენი!» (ფს.103,24).

18. ჴინ არს ესე ჴომავალი ან მარადის მყოფი და კუალად მომავალი და ძალითი ძალადსა აღმავალობასა უმდაბლესთაგან უმაღლესთა მიმართ მიანიჴებს ამათ, რომელნი-ესე აქა 25
 ძნობენ და მწყობრობენ, გვრგვან-შემოსილობს სგი არა ეკალთა მიერ, არამედ შარავანდედთა მიერ აღღგომისათა. სიმენამულე სამოსელთა შისთად იმრთეებისაგან, ჴომელმან ჴოროცნი ღესნი განაშანთნა, რქანი ჴელთა შინა შისთა, რომლითა დაჴრქნეს მან მტერნი იგი ჩუენნი. ზა განმიყოფს ჩუენ ბრწყინვალეზასა შეუხებელისა ნათლისასა, რომელი-იგი ჩუენდა მომართ შეყუარებითა დადვა სიმტკიცე ძალისა ღესისაჲ – ყოვლად პატიოსანი ჴუარი, რომელი ან 35
 ამალღების, რომლისა მიერ მოვიგეთ ჩუენ დაგებაჲ იმრთისა მიმართ ჴამისა. ჴინმე არს ესე? გარნა თუ იმერთი ოფალი და გამოგჴნდა ჩუენ.

სხედავთა უსწოროსა ამას სიკეთითა მა-
 ღლსა? ჴხედავთა გამოუთქუმელობასა სახ-
 იერებისასა? ანუ არა აგრძნობთა ბრწყინ-
 ვალეზასა? ანუ არა ცა იქმნა ქუეყანად? შე-
 მოკრიბეთ ღლესასწაული ბრწყინვალესა ღლესა სატფურებასა სღღგომისასა. ოთხთა მიმართ რქათა, ჴუარსა თანა ამალღდით. სწუ რასალა 45
 სხუასა გჴრუენებენ რქანი ჴუარისანი თჴნიერ ოთხეულობასა სათნოებათასა, რომელთა ზედა ვითარცა ოთხ-ცხენედსა ცეცხლ-სულედსა

* შესწავლე: ვითარმედ ზოგად ყოვლისა სოფლისა ცათა და ქუეყანისა სახე მოაქუნდა ჴარავსა მას შოსესსა.

ეტლსა აღვლენ ქუეყანით აღმავალნი ზეცისა საკურთხევლად აღმაღლებულნი ოკლესიად მიმართ **სიონდ** დღესასწაულობასა თანა პირმოთასა, რომელთა ვეტყვ: «აქებდით იმერთსა ეკლესიასა შინა აღდგომისასა წყაროთაგან **სრაელისათა** წყაროსა უხრწნელებისასა, რამეთუ ამპარტავანნი განაბნინა, გამოიყვანნა კრულნი სიმწნითა იმრთეებისათა მღვმისაგან ურწყულისა».

ზრამედ, ზ სიტყუო იმრთისაო, მომეც სიტყუად ძალისაჲ, რაჲთა შემსგავსებულად დღისა ამის ბრწყინვალეობისა ვახარებდე ამას.

19. შეუფე ძალთაჲ, საყუარელი და შეენიერებაჲ სახლისაჲ ამის წარმართთა ნატყუნავსა განიყოფენ. შოვედინ დიდებაჲ ღიბანისაჲ, ფიჭვ საროჲ და ნაძვ საღმრთოსა ამას ტაძარსა ძლუნის მომრთუმელობდინ. შოვედით, მიიძინეთ და განისუენეთ შორის ნაწილებსა აღდგომისასა აქლემთა **შადიამისა** და **სეფარისათა**, რომელთა ზურგებით მოგაქუან სიმდიდრენი წარმართთანი, რომელთა მოგიხუმაწ ფრთენი ტრედისანი ვეცხლისფერ მკრთომნი, გონებისა სინმიდითა და საღმრთოთა ელვითა ოქროვან ქმნულნი. წღფრინდით ზეცათა შეუფისა მიმართ ამიერ **სელმონით** მშვდობის მთავრისა მის და განთოვლებულ იქმნენით ვითარცა მთანი პოხილნი. ჰეყოფილ იქმნენით მთასა ამას ზედა **სოლგოთასა** და ეტლ იმრთისა იქმნენით. ჯომელი-იგი აღვდა სიმაღლედ ჯუარისა და მისაცემლად და წილად მკვდრობისა მიგიხუნა თქუენ შამისა მიერ, რომელნი წარმოგტყუენნა და მოგცა ნიჭები სულისაჲ. შოხუდით **სერუსალიმად** აღსრულებად აღთქუმისა მითუალულისა, ვინაჲცა მიეცით იგი **სიონს** შინა ოფალსა იმერთსა, რაჲთა სასმენელ იქმნენ თხოვანი თქუენნი და უშჯულობათა თქუენთაგან მღხინებელ გექმნეს ოფალი.

შოვედით, გამორჩეულნი, და ინატრებოდით. **სალობდით** მგალობელისა **შავითისსა** ფსალმუნებითა: «წმიდა არს ტაძარი შენი, იმერთო ღმერთთაო და ოფალი უფალთაო, საკრველ სიმართლითა» (ფს. 64, 4-5). შთანინ მაღალნი განემზადენით და ამაღლებულნი ბორცუნი იმერთსა დაუმდაბლდით, რამეთუ ზეშთა თქუენსა აღმატებულ არს მთაჲ ესე წმიდაჲ. შა რამეთუ ოფალმან იმერთმან თანაღმობით ქუეყანად გარდამოიხილა და შჯად გლახაკთა გარე შეირტყა ძალი. შკლველსა მას

მძლე ექმნა მძლავრსა და მვედრობანი მისნი დათრგუნნა, ვითარცა საწნეხელი და სისხლითა უღმრთოთაჲთა ოკლესიად დაათრო და მომრგულეებითი ესე სართული აკურთხა **სკრგვმან** მან კურთხევისამან, ჯომელი გარემოვლით ყოველსა გარემოჰვლის და კუალად თავისა მიმართვე თვსისა ვითარცა სიმრგულე წელიწადისაჲ ყოველსაჲე მოამრგულებს და შემოჰკრებს და ერთობითად შეაერთებს მრავალსახედ განყოფილთა მათ სხუებრობათა.

10. შხარებდინ ყოველი ჯორციელი და ყოველი გული საღმრთოთა სურვილითა მოერთბინ ცეცხლებრ მოტყინარებად და განმწნობილებით ღალადებდინ, ვითარ საყუარელ არიან საყოფელნი შენნი, ოფალი ძალთაო. სირნო ველისანო, შეცთომილნო გონებანო, სახლსა შინა იმრთისა წღდგომისასა ბუდე-იდგემდით. შედანო მომავალნო ხედვისაგან მაღლისა, მოვედით, სულნო ამაოდ დაბნეულნო, თუალითაცა და სურვილითა შეემშჭუალენით შეუფესა სასძლოჲსა ამისგან საფლავისა გამომავალსა შემდგომად სამისა დღისა!

იმრთისა ძლიერისა და ცხოველისა სურვიელ იქმნენით და საცნაურად მისსა შეერთებულთა შიში საღმრთოჲ მუცლად-იღეთ და ღმობითა სურვილისაჲთა მიდგომილთა სული მაცხოვარებისაჲ შევით! შომკუდარნი ეგე აღდეგით, აღიმსთვეთ ღამისაგან უმეტრებისა დანაჲდ განთიადსა მას წღდგომილისა მიმართ, რომელმან მოანიჭა სოფელსა ცუარი მხიარულებისაჲ.

35. შხარებედ ცანი ზეგარდამო და იშუებდინ ქუეყანაჲ! ირუბელნი წთოდედ წყალსა, მუწლის-მომდრეკელობდინ სესუფსსა ყოველი ბუნებაჲ ზეცისათა და ქუეყანისათა და ქუესკნელისათაჲ, და ყოველი ენაჲ აღუვარებდით მუსიკელებრითა ღალადებითა: «ესე არს დღე, რომელი ქმნა ოფალმან. ჴიხარებდეთ და ვიშუებდეთ ამას შინა!» (ფს. 117, 24).

20. ზრამედ წამართ სღვისაგან უკუმომიზიდა მე აწ დამთხუეულმან საბლარდნელმან და ვითარცა მახე ფერჳთა ექმნა მსრბოლობასა სიტყვასა. სნებაჲსა, რაჲთა ვიტყოდე და მომცნეთ მე გონებანი ყურთა თანა. სწ, მიწე, უწყი, ვითარმედ მომმადლნეთ და გიხაროდის სიტყუასა ზედა, ვითარცა სიტყვსა მსახურისათჳს.

ზრა არს სიხარული უღმრთოთაჲ, არამედ რომელთა იგი ჴრისტემან «გიხაროდენ» ჰრქუა,

რაჟამს იგი სირმშო მკუდრეთით იქმნა. ჯამეთუ მათ დაღაცათუ ეგონოს სიხარული, არამედ ანვე სადამე დაცხრომად არს სიხარული იგი მათი. ღოლო ჩუენ ჴრისტჳ უსაზღვროდ გუეტყჳს, ვითარმედ: «გიხაროდენ», ვითარცა არაოდეს დაცხრომილისა სიხარულისა მქონებელთა. ჴინაჲცა ან ამით სასოებითა გჳხარის, ვითარმედ აწინდელთა ამათ ტკივილთა მოსაგებელად მოვიღებთ სიხარულსა დაუსრულებელსა და არასადა მოკლებადსა, რაჟამს მოვიდენ მდგომნი დაჴსნასა თანა არამდგომთასა. წმისთჳს გჳხაროდენ და სულისა მხიარულებასა მოვართუმიდეთ ძლუნად დღესასწაულისა, ხოლო მხიარულებასა სულისასა შეიქმს უცხო-ყოფად ვნებათაგან.

ღმინეთ მჴგავრთა იმრთისათა უფსკრულმიუნდომელობად, რამეთუ სწავლის ერსა თჳსსა და ცხორებისა მიმართ მიუძღჳს. ღა-ძარი ესე წმიდაჲ ყოვლისავე თანა ქალაქისა **სპარსთა** მეფისა მიცემულ იქმნა და ცეცხლითა მოიწუა. ჴომლისა სახე ამასცა ზედა წინა გამოსახულ იყო ძუელისა მის ტაძრისა მიერ. წა საუფლოჲ ჴუარი მძღავრისა მის მიმართ ტყუედ წარიყვანა და განმხეთქელ იქმნა მეუფებისა მისისა. წა კუალად სინმიდეთა თჳსისავე ქალაქისა შუენიერებისა მიმართ უკუმოისწრაფეს, რამეთუ აღემენა საღმრთოჲ ესე პალატი სამეუფოჲ და წინა განემზადა შემწყნარებელად საღმრთოჲსა მის სკიპტრისა სამღდლოჲთა ჴელითა შეწევნული. ჴომელმან-იგი ვერ უსწრო სრულ ქმნად წინადადებულსა მისდა საქმესა, ვიდრემდის წინა მოუსწრო მას ყოვლად ძლიერმან და ყოვლად უძლეველმან ჴუარმან, რომელი-ესე იმრთისა განზრახვითა სამეუფოთა საუნჯეთა შინა ვითარცა მრავ-ალსასყიდლისაჲ მარგალიტი დამარხული იყო და მიერ მოგუეცა ჩუენ მნებებელისა მიერ და ყოვლისავე შემძლებელისა ყოვლად უხილავითა ძალითა.

21. ჴსრეთ სამეუფოთა ჴელითა მის მიერ განძლიერებულითა მძღავრი იგი განიჭრა შეურაცხის-მყოფელი, იმრთის მბრძოლი, წინააღმდგომი იმრთისაჲ, რომელი მნებებელ იყო მიტაცებად სახელსა იმრთისასა. წა ესრეთ აქავე, აღმოყვანებულ იქმნა საღმრთოჲ საძლეველი. წა აჴა კუალად სატფურებაჲ სა-ტფურებათაჲ. ჯამეთუ ჴუარი, ვითარ-იგი ჭე-შმარიტცა არს, მეფეთა ძლევისა მიმმადლებელ არს და მღდელთა შუენიერებისა. წა ვინაჲთგან

მძღავრთა ჴელითა დაჴსნილ იყო საღმრთოჲ ესე პალატი სამეუფოჲ, ამისთჳს ან მღდლობად და მეფობად ძლუნსა მოართუმენ ამას, რომელი დაადგინებს მეფეთა და სცხებს მღდელთა, ვინაჲცა მისაგებლითა დაჴსნისა ბოროტთა ჴედა განბრძნობილისაჲთა ამისი უძლეველად გებაჲ განგუეცხადების. ღოლო ძალისა განძლიერებაჲ დარღუეულთა ამათ კუალად აღმართებითა და ესრეთ აღემართების დამჴობილი კარავი **წავითისი**, ვინაჲცა ყოველივე იხარებს და ადიდებს ქველისმოქმედსა აღვსებული მისითა სიტკბოებითა.

«ყოველთა წარმართთა აღიტყუელენით ჴელნი, ღალადებდით იმრთისა მიმართ ჴმ-ითა სიხარულისაჲთა»(ფს.46,1), აღიმალღეთ ჴმაჲ თქუენი, აღიმალღეთ და ნუ გეშინინ! ჯა-მეთუ დაეკუეთა მტერი, მოიკლა მძღავრი ცეცხლისმსახური, დაბნელდა **ღუასრო**, ვითარ-იგი უთქუამს ვისმე, ვითარმედ სირცხვლეულ იქმნა ღიბანი – მრავალ იმერთი ცნობაჲ. ჴანიჴადა სახლი განმამწარებელთაჲ, რომელთა სავენაჴე იმრთისაჲ მოივერგავს არა ხოლო წინაწარმეტყუელთ-მკლველმან, არამედ იმრთის-მკლველმანცა **ჴურიათა** ერმან, რომელთა მკჳდრი იგი ყოველთაჲ, ვითარცა ძე შხოლოდშობილი მოკლეს სიკუდილითა ჴუარისაჲთა, რაჲთა ვენაჴი იგი დაიმკჳდრონ. ჯამეთუ არა იმრთისა, არამედ თავთა თჳსთა დიდებასა მოიღონებდეს.

22. ჴხარებდინ ჴკლესიაჲ ჴრისტესი და ყუაოდენ ვითარცა შრომანი განახლებასა მისისა წღდგომისასა. ჴურიანი იგლოვდედ, მეკერპენი გოდებდედ, რამეთუ ჩუენ თანა არს იმერთი. წრემლის მაღინებლობდ ძუელი ეგე **ღსრაელი**, ვითარცა დაძუელებული და განზრწნილი. ჴხარებდით შვილნი წღდგომისანი, ახალი ერი, რომელი-ეგე მოზარდ ხარ სულითა და არაოდეს დაბერებულ. ჯამეთუ ესე არს საქმე აღდგომისაჲ. ჴშუებდედ შვილნი **სიონისანი**, ვითარცა შრომანნიშორის ჴრწმუნოთა ეკლესიას ყუაოდედ! ჴმსგავსებოდედ ანგელოზსა მას ქადაგსა წღდგომისასა, სჳეტაკით მოსილებედ, ბრწყინვალედ მოსილებედ! ჴოველსა მჭმუნვარებასა განაგდებედ! წრუენებედ ბრწყინვალებასა წღდგომისასა! ჴოველსავე ნივთსა მტუერებრ განიყრიდედ!

შონებისაგან ჴუარმან აზნაურ-მყენა ჩუენ, ვეგნეთ აზნაურებასა მას შინა. ჩუმცა კუალად უღელსა მონებისასა თავთა თჳსთა

დაუმდაბლებთ. ჩუ ვიძლევიტ ჴორცთა გულისთქუმითა, რამეთუ რომლისაგანცა ვინ ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არნ. ჩუ ვსთესავთ ჴორცთა შინა, რათა არა ხრწნილებად მოვიმოთ. იმერთსა მხოლოდ ვჰმონოთ, ბუნებით შეუფესა ჩუენსა. ჴანიჭადა ჩუენგან სული ბოროტი. ჴევიყვანოთ მის წილ სული სახიერი. ჴოლო სულსა მას ყოვლად ღმრთისა სულიერთაცა სინმიდეთა ზედა უხარის. ჴოველივე ასოჲ სულისა და ჴორცთად განვაახლოთ სულითა. ჴოველივე გრძნობად, ყოველივე ძალი ბუნებისა ჩუენისად იმერთსა მივსცნეთ და მის მიერ მოვილოთ სული: ჴონება – უნივთოსა ჴონებასა, სიტყუად – სიტყუასა იმრთისასა, ჴმად – სამთავროსა სულისასა, გულისთქუმად – სამებასა ჴრთღმრთეებასა!

ჯუარი ამალღდების, თანა ამალღდით! ჴანახლდების ჴრისტეს აღდგომად, თანა განახლდით! ჴოველივე დღესასწაული და ყოველი საიდუმლო განახლებისა იყავნ შენდა მიზეზ, ჴ სამღდლო სამწყსო იმრთისაო. ჴრამედ ვითარ განახლდებისო კაცი, ნუუკუედა სთქუა: რად არს განახლება ბუნებისად, გარნა თუ კუალად აღსლვად პირველსა მას წესსა დასაბამისასა.

ქამეთუ ვინათგან ბუნებითისაგან გარეშედ ბუნებისა განვიზიდეთ, ჴერ-არს გარეგან ბუნებითისაგან უკუმოქცევად. ჴა ესრეთ ჴეშთა ბუნებისასა მას მიმთხუევად მომცემლობითა ჴესუფსითა, რომელი-იგი ჴელმწიფებით მოგუცემს და არა გუაყუედრებს. ჴოლო თუ ვითარ იქმნეს ესე, ისმინე!

23. ჴასაბამ ცხორებისა არს სარწმუნოება და «თვნიერ სარწმუნოებისა არა არს სათნო-ყოფად იმრთისად» (ებრ.11,6). ჴოლო სარწმუნოება არს მოსალოდებელთა გუამ, «საქმეთა მამხილებელ არახილულთა» (11,1). «ქამეთუ პირველად ჴერ-არს სარწმუნოება იმრთისად, ვითარმედ არს და მეძიებელთა მისთა სასყიდლის-მიმცემელ ექმნების» (11,6). ჴმას **სავლე** იტყვს, **ღერო-აედონი** ჴკლესიისად.

ღრწმენინ იმრთისად ყოფად ერთად დასაბამად დაუსაბამოდ სამითა ჴუამოვნებითა: იმერთი, სიტყუად და სული. ჴრთი სამობით იმერთი: ჴამად და ძე და სული წმიდად, სამგუამოვანი ჴრთღმრთეებად, რომელთა არცა ერთი რად აქუს ურთიერთას განყოფილებად თვთებასა შინა ჴუამთასა თვნიერ უმიზეზობისა და მიზეზისაგანთა, უშობელსა და შობილსა

ვიტყვ და გამომავალსა. ჴრთობასა ბუნებისასა სამობასა შინა ჴუამთასა და სამობასა ჴუამთასა ერთობასა შინა არსებისასა.

ღრწმენინ იგი, რომლისა მიერ ხილული ესე ყოველი მყის არარაჲსაგან შეიქმნა, არა თუ ნივთისაგან პირველ ყოფილისა. ჩუ იყოფინ, რამეთუ უკუეთუ ორნი არიან დასაბამნი, სადა არს ერთობად, ხოლო უკუეთუ ერთობად დასაბამ არს ორობისა, მოგუეცინ ვინმე ორთა დასაბამთა სხუად დასაბამი დაწყებისად.

«ღვალი იმერთი შენი ოვალი ერთ არს» (მკ.12,29), დამბადებელი და მპყრობელი და წინა განმგებელი თვსთა შექმნულთად.

24. ჴრწმენინ სათნო-ყოფითა ჴამისაათა ცხორებისათჳს ჩუენისა განჴორციელება სიტყვსად და ყოვლისავე ქმნად თვნიერ ცოდვისა, რაოდენი უჴმს კაცსა ქმნად. ჴრწმენინ საკუთრებით იმრთისმშობელ-ყოფად ყოვლად წმიდისა ჴალწულისად, ვითარმედ იმერთი, ძე იმრთისად მისგან ჴორციელად იშვა. ჴრწმენინ სულთა და ჴორცთა აღდგომისა ყოფად, რამეთუ აღდგომა არს შემდგომად დაცემისა კაცისა მეორედ დადგომად, რომლისა დაცემად, ესე იგი არს სიკუდილად არარას სხუასა ვიტყვთ თვნიერ განშორებასა სულისასა ჴორცთაგან. ჴრწმენინ, ვითარმედ დაუსრულებელი მისაგებელი ყოფად არს ყოველთავე საწუთროსა ამას შინა ქმნილთა კაცისამიერთად.

სიტყუად გაქუნდინ აღჴრთმპყრობელად გულისწყრომისა და გულისთქუმისა, რამეთუ პირუტყუებასა ზედა ბუნებით ჴმსთავრობს სიტყვერი. საღმრთოთა შჴულითა მავალობდ სანთლის სახედ ძლუანებული საქმეთა მიმართ, იყავ რისხვითა მწუერვალ, სახითი სახედ წარმართებულ. ჴარე მიაქცევდ ორკერძოვე მიდრეკასა და გარდადრეკასა. ჴზასა სამეუფოსა ვიდოდე. ცნობიერებითა განაგდებდი სივერაგესა და უგუნურებასა, სინმიდითა – დაუმჭირველობასა და ქვებურობასა. ჴოლო სიმწიკითა სდევნიდ სილაღესა და მოშიშებასა, და სიმართლითა – ვნებულთა თანა ჴმობასა და ყოვლად უღმობელობასა.

ჴყავ კაც გულისსათქუმელ, მწნე რადმე და მიუდრეკელ, წინააღმდგომ უჴეროთა გულისთქუმათა მიმართ და სამართალისა გულისწყრომისა მწუმეველ ცოდვისა ზედა და გუელისა. ჴუალად წულეზრ დეგ და შეუძრველად. შჴურვალე იყავ გულისთქუმათა შინა სულისათა და იმერთსა მიეც ყოველი სურვილი შენი. «ჴი-

სდერკ ბოროტისაგან და ქმენ კეთილი» (ფს.33,14), რამეთუ რაბამ რამდენ ბოროტ არს ცოდვისა იგი ნერგი და ყოვლად რჩეულ ურთიერთას მორჩი და ყუავილი სათნოებათა სიკეთისაა.

ზითარცა უყავ, გეყავნ შენო, – გეტყვს, – და რომლითა სანყაულითა მიუწყო, მითვე მოგენყოს შენ, ჳმისაებრ საღმრთოთა ჭერილთაჲსა(მთ.7,2). ჳყავ გამოცდილ ტაბლით მჯდომელ* და გამომცდილ უმჯობესისა. ნუ დაიჭირვებ მყოფსა საგონებელ-ყოფითა, არამედ მოსპე მყოფისა მისგან საგონებელ მყოფი იგი. ლღირჩიე ზრუნვათა შინა უმჯობესი გულისსათქუმელთა შინა არასადა წარმდინარე. ოკუეთუ დაჰფლა გული ნივითთა, გარე განვიდეს შენგან სული. ღოლო განაბნო თუ ნივთი, კუალად უკუმოიქცეს შენდა სული. ჰუენიერებად სათნოებაჲ მოიგე. ჰამეთუ რჩეულ არს იგი და აღსარჩეველ, ვითარცა ხატი მოწერითა განმაცხადებელ პირმშოჲსა მაგალითისა.

ღწუთიანმცა ოფლნი სათნოებისა გზასა მაშურალობითა შენითა, რამეთუ შრომათა შეუდგან ძლევანი და ოფლნი გვრგვნთა მიმცემელ არიან. ჰაბამ უზომოდ ჰგონებდ სიბოროტისა სივერაგეთა და ერთი უწყოდე განრომაჲ მათგან, რჩეული იგი და აღმაძღლებელი იმრთისა და მოყუასისა მიმართ სიყუარული და სიმდაბლე, რომელთა გარეშე ვითარცა ფრთეთა არწივისათა ვერცა ერთი ვინ სიმაღლედ აღსლვად შემძლებელ არს.

25. სახე სოფლისაჲ ამის წარვალს, განცხადებულად წარვალს, ძმანო! ზა ამას წამებს მომრგულეებითი ესე მოქცევი წელიწადისაჲ და მიმოცვალებითი დაღვენაჲ სანუთროსაჲ, ამათ თანა შემთხუევაჲ სიკუდილისაჲ.

შტერსა ნუ დაეგები, რამეთუ მიგიზიდავს შენ ცეცხლად, რომელი მას აღუგზნიეს. შომცემელი შენდა ყოფისა და კეთილად ყოფისაჲ შეიყუარე, რაჲთა გიზიაროს შენ იმრთეებასა მისსა თანა. ნუ შჯი, დაშჯილო, რაჲთა არა დაისაჯო მითაცეებითა პატივისა მსაჯულისაჲსა. შარადის განაახლებდ თავსა თვსსა და ითხოვდ სულისა წმიდისა განახლებად შენ შორის.

ძანა ჳუარს-ეცუ შენთვს ჳუარცუმულისა მის და ჳუარისა ამაღლებასა თანა ამაღლდი, თანა ეზიარე ვნებათა. შის თანა დაეფალ ნათლის-ღებითა, მის თანა მოკუედ რჩეულითა მით მოკუდომითა, რაჲთა ზიარ დიდებისა

აღდგომისა მისისა იქმნე. ჳსრეთ განახლდების კაცი. ჳსრეთ პატივ-იცემების ლდგომისა სატფურებაჲ.

ღანახლდებოდეთ ჩემდამო ჭალაკნი, – **ღსაი** იტყვს, – რაოდენნი მარილოვნობისაგან ურწმუნოებისა გარემოცვულ და კუეთებულ ხართ და უძლეველითა მით ჰრისტეს ძალითა და სარწმუნოებითა კუეთებულნი არავე დაკუეთებულ ხართ, რამეთუ იმრთისა ეკლესიებ და არა თუ ავაზაკთა ქუაბებ ხართ.

ღრა ჳელით ქმნულთა შინა მკვდრ არს იმერთი, არამედ სიყუარულით დაიტევის სულებსა შინა მართალთაჲსა და მათი შემოკრებაჲ იმრთისა ჳკლესია და სამკვდრებელ იქმნების. იმრთისა ადგილ არა არს, რამეთუ თავისა ჳკსისა ადგილ არს. ღოლო სადაცა საღმრთოჲ მოქმედებაჲ უგანცხადებულეს ჩუენდა იქმნებოდის, სახლად და ადგიდ იმრთისა ვიტყვთ მას. ჳსრეთ სახელსდვა **ღბრაჰამმან ჳეთელსა**, რამეთუ **ღეთელი** სახლად იმრთისა გამოითარგმანების, ესრეთვე **ღაკობ – ხილვად იმრთისა**. ოკუეთუ სახენი იგი ესოდენ, თვთ ჭეშმარიტებაჲ ესე რაოდენ და თვთ გამოსახვანიცა ესე საღმრთოჲსა ჳორცთშესხმისანი.

საკვრველ ამისთვს საიდუმლოჲსა სახე ითქუმიან, რამეთუ განსაკვრვებელ არიან, რაჲმას საღმრთოჲსა მის ბუნებისა საქმენი არა საღმრთოდ ოდენ ითქუმოდინ, რამეთუ კაციცა იყო მოქმედი მათი და კუალად კაცობრივისა ბუნებისანი არაკაცობრივისად ოდენ შეირაცხებოდინ, რამეთუ არა ხოლო კაცი იყო, არამედ იმერთიცა. ჳინაჲცა თითოეულთა მათ მოქმედებათა თავით ჳკსით იქმნოდა ჰრისტჳ, ვითარცა იმერთი და კაცი, რომლითა აჩუენა იმერთ-მამაკაცებაჲ ჳკსი. ღრა თუ წინაღმდგომობითა ცნობისაჲთა იწუმედა კაცობრივისა ნებასა, არამედ თვთმფლობელად შექმნულსა მას შამულისა ნებისა მორჩილ-ჰყოფდა და ჟამსა მისცემდა ჳორცთა თვსთა საქმედ და შემთხუევად თვსსა წესსა მათსა შჯულისაებრ ბუნებისა, დაღათუ ბუნებითა შინა დაცვულ იყვნეს ბუნებათა უზუშთაესნი, რამეთუ ყოველივე ვნებაჲ და საქმე ჰრისტესი ცხოველს-მყოფელ და განმწმედელ არს სოფლისა.

26. «შოვედით, ჭამეთ პური ჩემი, – სიბრძნე გიბრძანებს, – რამეთუ სახლი ვიშენე ჩემდად თქუენთა მაგათ ჳორცთა და სისხლთაგან, ჳორცთა სიტყვერთა და სულისა საცნაურისა

* შეისწავე: რამეთუ ტაბლით მჯდომ მათ ეწოდების, რომელნი ოქროსა და რვალს სცვლიდენ.

და მშენებლისა. ზა შუად სუეტად შემედგან მოქმედებანი სულისანი, რამეთუ თქუენთს თქუენებრ საღმრთოათა სულითა ცხებულ ვარ. ზამიკლვან თქუენდა საკლველნი ხემნი, რამეთუ მსხუერპლად უბიწოდ წინა დაგიგე თქუენ თავი ხემი და გუერდით ხემით გან- გიზავე ტაკუკი. სამეთ ჳორცი ხემი, ჭამეთ! სუთ სისხლი ხემი, სუთ! ძელი აღჰმართეთ და ჰე მას შემმშჰუალეთ სამშჰულებითა. სრამედ იდიდების ან ძელი ჳუარ-ცუმისა ხემისა ან ამაღლებული და ვითარცა თქუენი საცხორებელი თქუენ მიერვე თავუანის-იც- ემების. ისულოდ თქუენთს საფლავსა თქუენ მიერ ცხოველი დავიდე. სრამედ აღდგომილ ვარ და დიდებულ ვარ და თავისა მიმართ ძესისა და შამისა ამაღლებულ ვარ და სული ღმიდა ხემი თქუენდა გარდამომივლინების, თანა არსი ხემი და შამისა, რომლისა მიერ მკვდრ ვარ თქუენ შორის და ვიქცევი და ტაძრად წმიდად მიყოფიეთ თქუენ, რომლისა მიერ ყოველივე სართული წმიდა იქმნების და თქუენდა დღესასწაულისა მიზეზ იქმნების უფროსლა თვთ ესე აღდგომისა ხემისა დღეს».

ყოველივე დაბადებული იშუებს ჳუარისა აღმაღლებასა და სდგომისა სატფურებასა დღეს. სწ ღამე და დღე ორნივე ურთიერთას შეიტყუებიან და ერთი ერთსა ჰჳდებიან ჳუ- არისა და საღმრთოთა საფლავისა თავუა- ნის-ცემად განსწორებითა სარბიელთა მათ- თა საზომისაათა. სწ მუშაკი იხარებს ნამუ- შაკევისა ზედა ტკივილთასა. შოიმკის, ვინაე ეთესა, და შეიკრებს, სადათ-იგი კეთილად განებნია, და დაიდებს საუნჯეთა შინა, რაათა განაბნიოს კეთილად, რომელი-იგი სამართლად განბნევისათს შეიკრიბა. იყუარან უკუე მო- სთულებულნი და ვითარცა ერთგული მმა- დლობელ იქმნების ქველისმოქმედისა. ზა კუალად უხარისცა მოლოდებადთა სასოებითა და უმრავლესად განეკუართვის კუალად ერქუანსა და ორნატსა თანა შთაყვანებად თესლთა. სმისთვს აღჰმართებს ერქუანსა და შეაუღლებს უღელთა მესანეულეთა და კურთხევით სთესავს, რაათა კურთხევითცა მოიმკოს. ზა მწყალობელსა ხადის ზეცით გამო წმისმშობელთა ღრუბელთაგან გარდამ- ოვლინებად მისსა ცუარნი წმისანი, მორწყად და დათრობად სოფლისა. სწ, თუმცა და ჳუენცა ცრემლით ვსთესეთ, ოფლით და ტკივილით დანერგვითა სათნოებათა თესლთაათა გულთა

შინა ჳუენთა, რაათა სიხარულითცა მოვიმკოთ. სწ განაბნიოთ კეთილად და ჳუმცა დავჳფლავთ ტალანტსა, რაათა მრავალწილი ნაყოფი მო- ვისთულოთ თავნარსხმულად საუკუნეთა მათ საუნჯეთა შეკრებითა იმრთივ მოცემულთა ნაყოფთაათა.

27. სწ ტევანი მოიკუეთების და ფერჳებითა ძლიერთაათა დაინწიხების ტკეპნითა ჭაბუ- კთა წუერგამოთაათა. ზა ნაკადულსა დამ- ათრობელსა ტაგარნი შეინყნარებენ. შენესტუე ღანუთა განიბერავს და ჳელოვნად ძრვითა თითთაათა საგალობელ-ჳყოფს ჳმასა ნესტჳსასა, და ჳმობს ჭაბუკთა მრგულის მომვლელობად და შეწყობილად ჳყოფს მოძრაობასა ფერჳ- თასა. ღოლო სხუათა ჳელებითა უჳყრიან აღ- მოსავსებელნი და აღმოივსებენ სასმელსა მაროკვებელსა და ჭურჭლებსა შინა დაჳკ- რძალვენ ნივთსა მას ჳორცისა და სისხლისა იმრთისა ღოცვით თხოვილისასა, რომელთა დასაბამ არს პური და ღვინო, სიხარული და განმტკიცებაე გულისა. ოხარის მუშაკსა და უგალობს ნაყოფისმომცემელსა, რომელი მისცემს საზრდელსა და აღავსებს გულებსა ყოველთასა.

28. სწ ყოველივე, რომელიცა არს უცხო, უსახლო, სხუად სხვთ მიისწრაფიან სახიდ თჳსსა, დაადგრებიან საყოფელთა მათთა და გალობით უგალობენ მომაქცეველსა წელ- ინადისასა, მცვალებელსა ჟამთასა. ზა მონ- აცვალებობითა ჟამთაათა მრგულის-სახედ გან- მანესებელსა წელიწდისა ორ არვეობისასა, რამეთუ კეთილად დანყობითა დაუკლებელითა და დანესებითა შეწყობილითა განამტკიცებს ურთიერთას, რაჟამს შუამდგომელობითა სთ- ულისა და გაზაფხულისაათა მცირედ-მცირედ შეცვალებითა შეზავნეს ჟამნი, სიცხითი სიგ- რილედ და სიგრილითი სიცხედ, რაათა არა მყის წინააღმდგომთა კიდეთა ურთიერთას ზედა შემოსლვითა დაუნყნარებელ იქმნას ყოველი, რამეთუ სავნებელად უწყნის სიტყუამან ან- აზდაითნი შეცვალებანი.

28. სწ ჳუარი ამაღლდების და სდგომისა ტაძარი განახლდების. სწ ჳუარი ამაღლდების და ახალი **სმაღლე** ყოვლით მჳედრებითურთ განიჭრების. ჳუარი ამაღლდების და ერთა ურიცხუთა სიმრავლე შიშით მხიარულ არს და მხიარულებასა შინა ძრწის, განცვრდების და იწინვის, რამეთუ ზედავს დიდთა სასწალ- თა უდიდესსა და განსაკვრვებელთა უგან-

საკრებელესა; რამეთუ მთანი დაიქცევიან წინაშე პირსა ძელისასა, მთანი საცნაურთა ეშმაკთა სიბოროტისანი. წმისთჳს ქების-მეტყუელებს ჴუარცუმულსა და ითხოვს ოფლისაგან წყალობასა. **2**ა ჴუარშემოსილსა მეფესა ულოცავს მრჩობლთა ძლევათა განმარჯუებად ყოველთავე საცნაურთა სიფიცხით მბორგელთასა და გრძნობადთაცა ბარბაროზთა ნათესავებისა მძლეობასა ფერჳთა ქუეშე დადებად.

ღუარისა ამალღებამან აღაღსნა ჳვენებნი და ყოველივე მთა და ბორცჳ დაამდაბლა, დაამჴუნა ძლიერნი საყდართაგან და მოუგონებელნი შეამკვნა პორფირითა, ჴოჯოხეთად შებორკილებული შთაიყვანა სიკუდილი და ჴოჯოხეთსა და ხრწნილებასა განრყუნით მდებარე ბუნებად აღმოიყვანა. **3**ქებდით იმერთსა ღმერთთასა, აღამალღებდით სახელსა შისსა. სადა არს საწერტელი სიკუდილისა, სადა არს ძლევა ჳოჯოხეთისა! **4**ქა არს ყოველთა ძლევისა უძლეველი საძლეველი, გარნა თუ ჴუარი გარემისაქცეველი და უშუერი მიზეზი სიკუდილისა! **5**ჴილრმე სიმდიდრისა სიბრძნისა და მეცნიერებისა იმრთისა. ქამან დაჴჳსნა სიკუდილი? **6**ჴინ დააბრყჳლა ამისი საწერტელი ცოდვა? **7**ჴინ აჩუენა ჴოჯოხეთი გლახაკად უღონოდ? **8**ჴინ არცხვნა ეშმაკსა? – ჳორცთა უძლურთა ბაგამან, სახუეველთა ვნებათა ჴუარმან, სიკუდილმან, საფლავმან და ჴოჯოხეთად შთასღვამან. **9**ჴიშუელ არიანა ესე? არა უკუე, არა! **10**წრამედ სიტყჳსა მიერ იმრთისა ქმნულ. **11**ა ვითარებად ამისი სარწმუნოებით იჴყართ, ვითარმედ იმრთისა სიტყჳმან თავსიდვა ესე ჩუენდა მომართ თანაღმობითა და მიუთხრობელითა სახიერებითა. **12**ჴა, აღიჳსნა ძნელად აღსაჳსნელი, რამეთუ ესეცა მხოლოდ იმრთისა არს. **13**ჴოველნი წარმართნი, რაოდენნი ქმნა ოფალმან იმერთმან ძალთამან, მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ მას.

შოვედით ყოველნი ოფლისა მიერ ჴუარითა გამოჳსნილნი, შემოკერბით აღმოსავალით და დასავალით, ჩრდილოთ და ზღვთ, მართალთა კუალთა ძლუანებულ ვიქმნნეთ ქალაქისა მიმართ სამკვდრებელისა ოფლისა იმრთისა ჩუენისა საფლავისა ამის მიმართ ყოვლად დიდებულისა. სადა ჴოჯოხეთისა იგი ბჴენი რვალისანი განხეთქნა და მოქლონნი რკინისანი შემუსრნა. სადა პირველ განლაღებულნი კარისმცველნი შეაძრწუნნა. **14**ა შემოსილმან

სამოსლითა შურისგებისადათა ჴოჯოხეთი მენამულ ყო სისხლითა და ჳურელსა ასპიტთასა დასამალველსა შინა ვეშაპთასა ჳელი მისცა დაცემულსა **1**წდამს ქუემდებარესა. «შოვედ, – ჴრქუა, – მოვედ და აღდეგ». **2**ა მჴართა ზედა იტვრთა უძლური და შეცთომილი ცხოვარი. **3**ელმწიფებით განხეთქნა საკრველნი. ოქადაგა ტყუეთა განტევებად და შებორკილებულნი ჳსნილნი განუტევენა. **4**წამოვიდა საფლავით და ბეჴედნი არა შეძრნა. **5**შონამე არიან სინდონნი განახლებულნი აღდგომისა მიერ.

629. ჴყოსოდესმე სატფურებად სატფურებათად, რაჴამს-იგი სასწაული ძისა ჴაცისა და იმრთისა – ყოვლად საწატრელი ჴუარი, ვითარცა სკიპტრად საუკუნეთა შეუფისად წინა უვიდოდის. **7**ქამეთუ, ვითარ-ესე მე ვჴგონებ, თვთ ადგილსა ამას თხემისასა მოსლვად არს. **8**ა საყვრითა საღმრთოთა წდგომისა საფლავით გამო დასცეს ანგელოზმან აღდგომისამან. **9**ა წამსა შინა ყოველივე ნათესავი კაცთად შეუფისა თანა აღდგენ და ყოველთა მსაჴულსა ჴრისტესა წარმოუდგენ, რაჴამს იმერთი ჴესუ ჩემი შორის იმერთთა მათ ნათლის-ღებისა მიერ შვილქმნულთა იმრთისათა და დამცველთა **10**შვილებისა პატივისათა დადგეს და განუყოფდეს პატივთა, ახარებდეს და იხარებდეს. **11**შის ყოვლისა დასაბამ ესე საფლავი არს, ვითარცა წყარო ყოვლისა აღდგომისა.

1230. **13**ჴ ძვრთა ურიცხუებასა, რომელთა მოთხრობად ოდენ ცოდვის მომაჳსენებელ არს ცხორებასა ჩუენსა შინა, რომელთაგანნი უმრავლესნი დაუტევენ ჳმნისათჳს შემანუხებელთაგან. **14**ჴრომანი და ოფლნი, მომსთულუბელობად ეკალთად, დათხევად სისხლთა **15**წბელისთად; შვდ-რიცხუედობად ბოროტთა ჴაენისთად და სწორ-რიცხუედობად მისაგებელთა მისთად. **16**შდედრ გარდაქცევად იგი სათნოებით შვილ იმრთისა ქმნულთად მათ და ანგელოზებრსა ნებასა მიმთხუეულთად. **17**ქაჴამს ქუემეთრევთა კაცთა ასულებისა მიმართ შესცთეს და სიმაღლით სათნოებათად ამათდა ჴიარებად გარდამოვარდეს, რომლითა კნინლადა საყოველთაო იქმნა წარრღუნად ყოვლისა ნათესავისა: მიმოგანთესვად ენათად, და **18**წუვად **19**სოდომელთად, მძლავრებითი იგი ზედა მოსლვად ბილწთა მათ ვნებათად, განმლეველი იგი და შემჴამელი შინაგანისა კაცისა ჩუენისა.

20წსე და სხუად ყოველი მწყობრები ძვრთა ჩემთად სატვრთავ-ყოფად დაუტევენ, რადთა არა

სამოწივრო-ვყო დღესასწაული, ამისთვის ერთსა ანუ ორსა ოდენ ჟამისა ამის შემსგავსებულსა სიტყუად მოვიდე. დაბრმოვილ იქმნა გონებითა იმრთის სახე იგი და ცნობითა წარიტყუნა და რეცა თავის მკლველ იქმნა.

ჰოლო ყოვლად ვერაგი იგი გუელი და ბოროტის მოქმედებად განბრძნობილი, ვითარცა გემოვან ქმნული ამისთვის და ელიმვოდა მას სივერაგითა და პოვა რად დაბრმოვილ სახედველითა, განსძარცუა მას სამოსელი უხრწნელებისა. და იყო რად იგი ბრმა და შიშულ და ორკერძოვე სანყალობელად მიმომავალ, რადთამცა პოვა წყალობად იმრთისა მიერ, ყოველივე დაბადებული თანა კუნესოდა და სანყალობელად გოდებდეს ვნებასა მისსა. შაშინ დამბადებელმან თანალობით შეინყალა დაბადებული. და იქმნა რადმე, ეჰა განცვრებასა, რომელი-ესე სიტყვსა მიერ კერძო არს, დაღათუ შეუხებელ არს. ჴერ ძალ-მიც გულისწმის-ყოფად და რად-იგი გულად მომივალს, ვერცა თუ ენითა გამოვიტყვ, რამეთუ სიკეთე იგი სირმშოფსა მის ხატისა ეტრფიალა თვსსა მას პირველ შექმნულსა ხატსა, მოდრიკნა ცანი და მისსა მიმართ გარდამოჭდა. წლილო ქუემდებარეობისაგან და მაღლად აღჰყვანდა განმარისხებელი იგი. ჴქმნა მას შუამდგომელ და დამაგებელ იმრთისა მიმართ შამისა, რაჟამს თავისა ჴვსისად მიიჩემა უკუანადსენელი უბადრუკებად ბუნებისა ჩემისა.

31. ზეთილ, ჰ სიტყუაო იმრთისაო, შხოლოდშობილო, კეთილ, ვითარ დამიკვრდების მე სახიერებისა ჴენისათვს. ძუელ სადმე ჴუარი წინა უძლოდა წლდგომასა, რამეთუ

ჴუარისა მიერ და შემდგომად ჴუარისაღა იქმნა წლდგომა. ჰოლო ან წინა უძლვს ჴუარსა წლდგომა და ფრიადცა სამართლად, რამეთუ მკუდართა აღდგომისაგან დიდებული ჴუარი და ჩუენ მიერცა იდიდების და ამალდების და ყოველსა სოფელსა უძლვეელი საძლვეელი ერუენების. წრამედ თანა აღვმალდეთ და მის თანა აღვიპყრნეთ გონებანი. ჩუ დაგმთებით ქუეყანასა ჴედა, არამედ ჴეცად აღვმალდეთ. სადა-იგი წინამორბედად ჩუენთვის ჴუარცუმული ჴრისტჴ შევიდა. შოუჴდეთ ნათლით შემოსილსა საფლავსა ჴრისტესსა და განვნათლდეთ აღბეჴდულნი საღმრთოთა სისხლითა. სახე და სასწაული ჴუარისაღა შუბლთა ჴედა მოგუაჴუნდინ, რადთა არა შეგუეხოს მომსრველი.

ჰ ჴუარო პატოისანო, რაოდენთა კეთილთა მომატყუებელ გუეჴმენ ჩუენ. ჰ საფლავო ცხოველსმყოფელო, რაოდენი სიმდიდრე ნიჴთად უშურველად წყარო-მიყავ ჩუენ.

ჰ სიტყუო იმრთისაო, იმერთო შხოლოდშობილო, რაბამ რადმე არს თანალობად ჴენი, რაბამ კაცთმოყუარებად. ჴენ ხარ იმერთი, ჴენსა გარეშე სხუად არად ვიცით. წცხოვნე ერი ჴენი და ჴენი სამკვდრებელი აკურთხე. ჴანაარსო შამისა და სულისაო და ჴუარ-ცუმითა და დაფლვითა მომატყუებელო ჩუენდა ცხოვრებისა საუკუნოფსაო, ჴენდა დიდებად, იმრთისა და ძისა, თანა შამით იმრთით და სულით იმრთით, ჴრთღმრთეებით, ყოველთა ჴედა იმრთით, ან და მარადის და დაუსრულებელთა საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ!

